

სს „ზირათ ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	13
5. კაპიტალის მართვის მიდგომა.....	29
6. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები.....	30
7. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	32
8. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში.....	32
9. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	33
10. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.....	36
11. არამატერიალური აქტივები.....	36
12. აქტივების გამოყენების უფლება.....	37
13. ძირითადი საშუალებები.....	38
14. ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ.....	39
15. ვალდებულებები კლიენტების მიმართ.....	39
16. მფლობელთა კაპიტალი.....	40
17. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.....	40
18. საკომისიო შემოსავალი, წმინდა.....	40
19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	41
20. მოგების გადასახადის ხარჯი.....	41
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	43
22. პირობითი ვალდებულებები და აქტივები.....	45
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	46
24. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში.....	47
25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა.....	49

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ზირაათ ბანკი საქართველოს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ, 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-6 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შეცდომების შესწორების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნევართ ბანკს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული შესწორებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

სხვა გარემოება

სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 30 მარტს გასცა არამოდიფიცირებული დასკვნა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარიგებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ბანკის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ბანკი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

5 მაისი 2020 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ზირაათ ბანკი საქართველოს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ, 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-6 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შეცდომების შესწორების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნავართ ბანკს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული შესწორებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

სხვა გარემოება

სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 30 მარტს გასცა არამოდიფიცირებული დასკვნა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.


აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ბანკის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ბანკი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

5 მაისი 2020 წელი

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018*	01.01.2018*
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	39,577,357	35,291,560	49,165,684
სავალდებულო რეზერვები	8	13,512,500	10,372,884	6,735,692
საქართველოს ეროვნულ ბანკში				
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	49,430,979	34,190,175	17,917,715
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10	23,280,588	28,705,073	15,815,782
სხვა აქტივები		410,488	2,070,980	226,195
არამატერიალური აქტივები	11	624,502	311,517	221,460
აქტივების გამოყენების უფლება	12	497,954	-	-
ძირითადი საშუალებები	13	4,269,558	4,038,931	3,540,429
სულ აქტივები		131,603,926	114,981,120	93,622,957
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	14	2,200,857	2,023,209	783,622
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	15	70,828,559	59,563,749	61,630,939
საიჯარო ვალდებულება	12	449,909	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	20	318,276	166,776	38,097
გაცემული გარანტიების რეზერვი		29,168	29,871	228,406
სხვა ვალდებულებები		639,127	274,714	142,964
სულ ვალდებულებები		74,465,896	62,058,319	62,824,028
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	16	50,000,000	50,000,000	30,000,000
გაუნაწილებელი მოგება		7,138,030	2,922,801	794,940
სხვა რეზერვები		-	-	3,989
სულ კაპიტალი		57,138,030	52,922,801	30,798,929
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		131,603,926	114,981,120	93,622,957

(*) - გადაანგარიშებული. დეტალებისთვის იხილეთ მე-6 შენიშვნა.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2020 წლის 5 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

მეჰმეთ უჩარ

მთავარი ბუღალტერი

სოფიო ჯლანტიაშვილი

10-59 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018*	01.01.2018*
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	39,577,357	35,291,560	49,165,684
სავალდებულო რეზერვები	8	13,512,500	10,372,884	6,735,692
საქართველოს ეროვნულ ბანკში				
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	49,430,979	34,190,175	17,917,715
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10	23,280,588	28,705,073	15,815,782
სხვა აქტივები		410,488	2,070,980	226,195
არამატერიალური აქტივები	11	624,502	311,517	221,460
აქტივების გამოყენების უფლება	12	497,954	-	-
ძირითადი საშუალებები	13	4,269,558	4,038,931	3,540,429
სულ აქტივები		131,603,926	114,981,120	93,622,957
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო				
ინსტიტუტების მიმართ	14	2,200,857	2,023,209	783,622
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	15	70,828,559	59,563,749	61,630,939
საიჯარო ვალდებულება	12	449,909	-	-
გადავადებული საგადასახადო				
ვალდებულება	20	318,276	166,776	38,097
გაცემული გარანტიების რეზერვი		29,168	29,871	228,406
სხვა ვალდებულებები		639,127	274,714	142,964
სულ ვალდებულებები		74,465,896	62,058,319	62,824,028
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	16	50,000,000	50,000,000	30,000,000
გაუნაწილებელი მოგება		7,138,030	2,922,801	794,940
სხვა რეზერვები		-	-	3,989
სულ კაპიტალი		57,138,030	52,922,801	30,798,929
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		131,603,926	114,981,120	93,622,957

(*) - გადაანგარიშებული. დეტალებისთვის იხილეთ მე-6 შენიშვნა.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2020 წლის 5 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



მეჰმეთ უჩარ

მთავარი ბუღალტერი



სოფიო ჯლანტიაშვილი



10-59 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018*
საპროცენტო შემოსავალი	17	6,903,347	4,651,640
საპროცენტო ხარჯი	17	(462,111)	(217,811)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		6,441,236	4,433,829
კლიენტებზე გაცემული სესხის საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილება	9	1,627	225,690
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯის შემდგომ		6,442,863	4,659,519
საკომისიო შემოსავალი	18	1,455,220	1,120,593
საკომისიო ხარჯი	18	(475,105)	(629,112)
უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული შემოსავალი		1,466,956	1,519,978
სხვა შემოსავალი		171,367	159,225
არასაპროცენტო შემოსავალი		2,618,438	2,170,684
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(4,491,702)	(3,815,284)
გაცემული გარანტიების		703	198,535
საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილება		(34,273)	32,997
სხვა აქტივების რეზერვის ცვლილება		54,012	(102,310)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა			
მოგება დაბეგვრამდე		4,590,041	3,144,141
მოგების გადასახადის ხარჯი	20	(374,812)	(156,845)
მთლიანი სრული შემოსავალი		4,215,229	2,987,296

(*) - გადაანგარიშებული. დეტალებისთვის იხილეთ მე-6 შენიშვნა.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		4,590,041	3,144,141
კორექტირებები:			
საპროცენტო შემოსავალი		(1,056,173)	(83,921)
საპროცენტო ხარჯი		61,170	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	11,13	517,037	471,982
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაციის ხარჯი	12	137,559	-
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან, წმინდა	13	436	157,278
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება, წმინდა		31,943	(457,222)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა		(54,012)	102,310
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დისკონტი		(1,799,702)	(1,742,708)
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		(13,033)	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		2,415,266	1,591,860
სებ-ში სავალდებულო რეზერვის ზრდა		(3,139,616)	(3,637,192)
კლიენტზე გაცემული სესხების ზრდა		(14,183,004)	(15,962,849)
სხვა აქტივების შემცირება/(ზრდა)		1,639,252	(1,811,788)
კლიენტთა ანგარიშების ზრდა/(შემცირება)		11,203,640	(2,067,190)
სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		345,981	(30,101)
ვალდებულებების ზრდა საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე		177,648	1,239,587
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები		(1,540,833)	(20,677,673)
გადახდილი მოგების გადასახადი		(162,537)	(28,166)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,703,370)	(20,705,839)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,061,085)	(1,059,957)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		(35,457,813)	(54,827,583)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		42,682,000	43,681,000
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		6,163,102	(12,206,540)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა		-	19,140,565
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის გადახდა		(207,345)	-
საიჯარო ვალდებულების პროცენტის გადახდა		(20,602)	-
საფინანსო საქმიანობისთვის (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(227,947)	19,140,565
ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება), წმინდა		4,231,785	(13,771,814)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	35,291,560	49,165,684
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული შედეგი		54,012	(102,310)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	39,577,357	35,291,560

(*) - გადაანგარიშებული. დეტალებისთვის იხილეთ მე-6 შენიშვნა.

10-59 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
1 იანვარი 2018*	30,000,000	794,940	3,989	30,798,929
სააქციო კაპიტალის ზრდა	20,000,000	(859,435)	-	19,140,565
ამორტიზაცია	-	-	(3,989)	(3,989)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,987,296	-	2,987,296
31 დეკემბერი 2018*	50,000,000	2,922,801	-	52,922,801
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,215,229	-	4,215,229
31 დეკემბერი 2019	50,000,000	7,138,030	-	57,138,030

(*) - გადაანგარიშებული. დეტალებისთვის იხილეთ მე-6 შენიშვნა.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს ზირაათ ბანკი თბილისის ფილიალი დაფუძნდა 1998 წელს. 2017 წლის 27 აპრილს ეროვნული ბანკის N386 განკარგულების თანახმად, სს ზირაათ ბანკმა საქართველო-მ მიიღო საბანკო საქმიანობის ლიცენზია და ფუნქციონირება განაგრძო ამჟერად უკვე არა როგორც ფილიალმა, არამედ როგორც სს „თურქეთის რესპუბლიკის ზირაათ ბანკის“ შვილობილმა ბანკმა.

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) ჩამოყალიბდა 2017 წლის 27 აპრილს და ოპერირებს საქართველოში. ბანკი არის აქციებისგან შემდგარი სააქციო საზოგადოება, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკი იღებს ანაბრებს ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, გაცემს სესხებს და გარანტიებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას.

ბანკი რეგისტრირებული არის შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, სანაპიროს ქუჩა N-6. ბანკი, თავისი სერვის ცენტრებით თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და მარნეულში. ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიით.

ბანკის აქციების 100%-იანი წილის მფლობელს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წამორადგენს სს „თურქეთის რესპუბლიკის ზირაათ ბანკი“.

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფას-ები) შესაბამისად.

ბანკი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ლარში. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ბანკის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ბანკის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 25-ე შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ბანკი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ბანკის ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ბანკის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ბანკისათვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 16 - იჯარა
- ფასიკ 23

ფასს 16 - ის ცვლილებები, რომლებიც აღნიშნულმა სტანდარტმა იქონია მოცემულია 24-ე შენიშვნაში. სხვა ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც IASB-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ ბანკზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური ბანკის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია ბანკის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ფასიკ 23-ში „მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, როგორ გამოიყენება ბასს 12-ის აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები იმ შემთხვევაში, როდესაც გაურკვეველია მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებული მიდგომები. ასეთ შემთხვევაში, ბანკმა მიმდინარე ან გადავადებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება უნდა აღიაროს და შეაფასოს ბასს 12-ის მოთხოვნების გამოყენებით, მაგრამ მოცემული ინტერპრეტაციის შესაბამისად განსაზღვრული საგადასახადო მოგების (ან ზარალის), საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტებისა და საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში, არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან არის ეფექტური და რომელთაც შესაძლოა ეფექტი ჰქონდეს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება)
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება)
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ამჟამად, ბანკი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

ბანკი არ ვარაუდობს, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ბანკი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება

ბანკი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება არის მნიშვნელოვანი შეფასება, რომელიც მოიცავს მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზირებას, რაც უფრო გრძელვადიანია პროგნოზები, უფრო მეტი მსჯელობები გამოიყენება ხელმძღვანელობის მხრიდან, რაც შესაძლოა გაურკვევლობის წყარო გახდეს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასების მეთოდოლოგიის დეტალები წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში.

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზები ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს რეზერვების სხვადასხვა დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად ბანკი იყენებს კომპლექსურ მოდელებს, რომლებიც ეყრდნობა რამდენიმე დაშვებას ცვლადი მონაცემების არჩევასთან და მათ ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემული კომპონენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საკრედიტო ზარალის რეზერვზე: დეფოლტის განსაზღვრება, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა („SICR“), დეფოლტის ალბათობა („PD“), რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში („EAD“), და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში („LGD“), ასევე მაკრო-ეკონომიკური სცენარების მოდელები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც ეყრდნობა ბუღალტრულ გადაწყვეტილებებს და პროგნოზებს მოიცავს შემდეგს:

- ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგების მოდელი, რომელიც თითოეულ დონეს ანიჭებს დეფოლტის ალბათობას;
- ბანკის კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, მნიშვნელოვნად ხომ არ გაზრდილა საკრედიტო რისკი და ამიტომ ფინანსური აქტივების რეზერვები ხომ არ უნდა შეფასდეს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით და ხარისხობრივად;
- ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როდესაც მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კოლექტიურად ფასდება;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების შემუშავება, მათ შორის, სხვადასხვა ფორმულისა და ამოსავალი მონაცემის შერჩევა;
- კავშირის დადგენა მაკროეკონომიკურ სცენარებსა და ისეთ ეკონომიკურ მონაცემებს შორის, როგორიცაა უმუშევრობის დონეები და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებები, ასევე გავლენის განსაზღვრა დეფოლტის ალბათობაზე, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე;
- საპროგნოზო მაკროეკონომიკური სცენარების არჩევა და მათი ალბათობების შეწონვა, მიღებული ეკონომიკური მონაცემების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში გამოყენების მიზნით.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ბანკი დროდადრო ამოწმებს თავის სესხებს, რომ შეაფასოს მათი გაუფასურება და განსაზღვროს გაუფასურების ზარალის ოდენობა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და მსგავს მსესხებელთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ანალოგიურად, ბანკი სამომავლო ფულად ნაკადებში ცვლილებებს იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, რომლებიც მიუთითებენ, რომ მსესხებლების გადახდის სტატუსი გაუარესდა. ხელმძღვანელობა ალბათობებს განსაზღვრავს მსესხებელთან ურთიერთობის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რა დროსაც ითვალისწინებს დეფოლტის შემთხვევების მსგავსებასა და დეფოლტის შემთხვევაში მიღებულ დანაკარგებს. ბანკი თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით აკორექტირებს ერთგვაროვანი სესხების ჯგუფის ემპირიულ მონაცემებს, რათა ასახოს არსებული ვითარება და საპროგნოზო მაკროეკონომიკური ცვლადები.

გადასახადით დაბეგრვა

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ხელმძღვანელობის მიერ ბანკის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამატებით გადასახადებს, ჯარიმებს ან საურავებს. ფისკალური პერიოდები ექვემდებარება უფლებამოსილი ორგანოების მიერ საგადასახადო კუთხით შემოწმებას სამი წლის განმავლობაში, შემოწმების წლის ჩათვლით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ ბანკის საგადასახადო შეფასება უცვლელი დარჩება.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ბანკის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის რენტაბელურობისათვის და ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო რისკები და სხვა არაფინანსური რისკები. ბანკის მიერ დანერგილი რისკის მართვის სისტემა საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის თითოეული ტიპის რისკის დასაშვებ დონეს აწესებს და უზრუნველყოფს მის დაცვას.

ბანკის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება. სამეთვალყურეო საბჭოს დაფუძნებული აქვს კომიტეტები, რომლებსაც ევალებათ შესაბამის კონკრეტულ სფეროში ბანკის რისკის მართვის სხვადასხვა პოლიტიკის შედგენა და კონტროლი, რომლებიც აისახება პოლიტიკაში რისკის დასაშვები დონის შესახებ.

რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობაა, უზრუნველყონ, რომ ბანკი აკმაყოფილებდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პოლიტიკას რისკის დასაშვები დონის შესახებ. მასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ხდება რისკის დასაშვები დონის მაჩვენებლების მუდმივი მეთვალყურეობითა და, გარემოებების შეცვლის შემთხვევაში, ამ პარამეტრების შეცვლის წინადადებების წამოყენებით. რისკის დასაშვები დონის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა აკისრია რისკის მართვის კომიტეტს.

პოლიტიკა რისკის დასაშვები დონის შესახებ აწესებს რისკის გამომწვევი მოვლენების დადგომისა და ლიმიტების დარღვევის ესკალაციის სცენარებს იმისათვის, რომ დროულად და ეფექტურად დაიწყოს და განახორციელოს რისკის შემცირებისკენ მიმართული წინასწარ განსაზღვრული ზომები.

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში ეფექტურად ჩართვის მიზნით, რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკის პარამეტრები უფრო დაწვრილებითი სახითაა წარმოდგენილი ბიზნესერთეულებისა და ოპერაციების დონეებზე. სამეთვალყურეო საბჭოს აქტიური მონაწილეობით, რისკის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს სათანადო კომუნიკაციას და სიცხადეს ყველა დონეზე, რისკის ამოცანებთან მიმართებაში, რისკის პროფილის მუდმივ მონიტორინგს და მისი შესაბამისობის შემოწმებას რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკასთან, ასევე რისკების დროულად აღმოჩენასა და მათ შესამცირებლად ზომების შემუშავებას.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ბანკის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, და რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობებში და ბაზარზე შეთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებებში მომხდარი ცვლილებები. ბანკს, თავისი მართვის სტანდარტებით, პროცედურებითა და ტრენინგებით, აქვს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი როლები და მოვალეობები.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი ბანკის კორპორაციული მართვის სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია. ეს რგოლი ზედამხედველობას ახორციელებს შიდა აუდიტის დეპარტამენტის საქმიანობაზე, სათანადო რეკომენდაციებს შეიმუშავებს ამ სამსახურისათვის და აქციონერთა ინტერესებს იცავს ფინანსური ანგარიშგების შედგენის საიმედოობის თვალსაზრისით. აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს ბანკის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე, ასევე რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შემოწმებაზე ბანკის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

შიდა აუდიტი

ბანკში რისკების მართვის პროცესებს მეთვალყურეობს ბანკის შიდა აუდიტი, რომელიც სისტემატური და არასისტემატური შემოწმებებით ადგენს პროცედურების ადეკვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს დირექტორთა საბჭოსთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

სხვა სტრუქტურული ერთეულები

რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს ძირითადად ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, თუმცა რისკების მართვა და მონიტორინგი ასევე ხორციელდება ბანკის სხვადასხვა განყოფილებების მიერ. რისკის დასაშვები დონის ზღვარს აწესებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მონიტორინგი ევალებათ შემდეგ კომიტეტებს და სტრუქტურულ ერთეულებს, დირექტორთა საბჭოს აქტიური მონაწილეობით:

- საკრედიტო რისკს მართავენ საკრედიტო რისკის კომიტეტები;
- ლიკვიდურობის რისკს მართავს აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტი;
- საბაზრო რისკს მართავს აქტივ-პასივების კომიტეტი;
- საოპერაციო რისკს მართავს საოპერაციო რისკის მართვის განყოფილება დირექტორთა საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- საინფორმაციო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რისკებს მართავს საინფორმაციო უსაფრთხოების განყოფილება.

საკრედიტო რისკი

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს ან კონტრაგენტს არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება – გადაუხდელი თანხების გადახდა. ბანკის საკრედიტო რისკი წარმოიშობა მისი საკრედიტო ოპერაციების და მხარეებთან სხვა გარიგებების შედეგად, ფინანსური აქტივების ირგვლივ. საბალანსო მუხლების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს მათ საბალანსო ღირებულებებს.

ბალანსგარეშე ვალდებულებების მაქსიმალური მოცულობა იხილეთ შენიშვნაში 4. - დარჩენილი საკონტრაქტო ვადების ანალიზი.

საკრედიტო რისკი მოიცავს: რისკს, რომელიც წარმოიქმნება კონტრაგენტებთან გაფორმებული გარიგებიდან, კონცენტრაციის რისკს, ვალუტით გამოწვეულ საკრედიტო რისკს და ნარჩენ რისკებს.

- რისკები, რომლებიც წარმოიქმნება კონტრაგენტებთან გაფორმებული გარიგებიდან, არის ზარალის რისკი ხელშეკრულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით კონტრაგენტის საკრედიტო ხარისხის გაუარესების მიზეზით.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- კონცენტრაციის რისკი არის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ხარისხის გაუარესებასთან ცალკეულ მსესხებლებთან ან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფთან აქტიური სარისკო ოპერაციებით ან კრედიტის კონცენტრაციის მიზეზით ეკონომიკის კონკრეტულ დარგებში.

- ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკი უკავშირდება რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხებიდან ბანკის პორტფელში.

- ნარჩენი რისკი წარმოიქმნება საკრედიტო რისკის შერბილების მეთოდების შედეგად, რომელმაც შესაძლოა არ დააკმაყოფილოს მოლოდინი მიღებულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

კრედიტის დამტკიცება

ბანკი ისწრაფვის უზრუნველყოს კრედიტის გაცემის მდგრადი პროცესი მისი გაცემის სათანადო კრიტერიუმების დადგენით და ეფექტური პროცესის შექმნით მსესხებლის რისკის პროფილის ყოვლისმომცველი შეფასებით.

კრედიტის შეფასების პროცესი განხვავდება სეგმენტების მიხედვით, რომელიც დამატებით დიფერენცირდება სხვადასხვა ტიპის პროდუქტების მიხედვით და ასახავს აღნიშნული აქტივის კლასების სხვადასხვა ბუნებას. კორპორატიულ, საშუალო და მცირე ბიზნესის და მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ინდივიდუალურად ხორციელდება მსესხებლის კრედიტუნარიანობის და სესხის სტრუქტურის დეტალური ანალიზით.

საკრედიტო კომიტეტი განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით და წევრების შერჩევა ხდება შემდეგი პირებისგან: გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე, დირექტორი, რისკების მენეჯერი. საკრედიტო კომიტეტი პასუხისმგებელია გადახედოს საკრედიტო განცხადებებს და დაამტკიცოს საკრედიტო პროდუქტები. საკრედიტო რისკის მენეჯერები (შესაბამისი საკრედიტო კომიტეტების წევრები) უზრუნველყოფენ მსესხებლის და შეთავაზებული საკრედიტო რისკების დეტალურ ანალიზს. იმ შემთხვევაში თუ მსესხებლის ჯამური ვალდებულება აღემატება 200,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, სესხის გაცემაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო თუ მსესხებლის ჯამური ვალდებულება ნაკლებია 200,000 დოლარზე, აღნიშნულ სესხს ადასტურებს საკრედიტო კომიტეტი.

სეგმენტაცია

სეგმენტაციის კრიტერიუმი ეფუძნება რისკის მახასიათებლებსა და ბანკის ექსპერტულ შეფასებას არსებული მონაცემების გამოყენებითა და ისტორიული ინფორმაციით. ანალიზის დროს გამოყენებული ინსტრუმენტების მახასიათებლები შეიძლება დროთა განმავლობაში გადაიხედოს.

პორტფელის სეგმენტაცია ითვალისწინებს შემდეგ ქვე-პორტფელებს:

- 1) სეგმენტი 1 – ქვე-პორტფელი: “იპოთეკა”;
- 2) სეგმენტი 2 – ქვე-პორტფელი: „სამომხმარებლო სესხი“;
- 3) სეგმენტი 3-4 – ქვე-პორტფელი: “კორპორატიული” და SME (მცირე და საშუალო ზომის საწარმოები).

საკრედიტო რისკის მონიტორინგი

ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები მიზნად ისახავს რისკის დროულად გამოვლენას და გაანალიზებას, და აკონტროლებს წინასწარ განსაზღვრულ ლიმიტებს საიმედო და დროული მონაცემების საშუალებით. ბანკი მნიშვნელოვან რესურსებს იყენებს საკრედიტო რისკის შესახებ მკაფიო და ზუსტი ინფორმაციის მიღებისთვის, რომელსაც აწყდება ბანკი სხვადასხვა ბიზნეს სეგმენტში.

მონიტორინგის პროცესები მოიცავს ინდივიდუალურ საკრედიტო რისკებს, პორტფელის საერთო კოეფიციენტს და გარე მიმართულებებს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პორტფელის რისკის პროფილზე.

არსებული მონაცემების ძველ მონაცემებთან შედარებით და პროგნოზების ანალიზით, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მისი პოლიტიკის დროულად შეცვლით შესაძლებელია რისკების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის შემცირება

კრედიტის შესახებ გადაწყვეტილებების მიიღება ძირითადად მსესხებლის გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის საფუძველზე ხდება; დამატებით ბანკი საკრედიტო რისკის შესამცირებლად იყენებს საშუალებებს, როგორიცაა უზრუნველყოფა და გარანტიები. უზრუნველყოფის მართვის სისტემა მოიცავს მყარ დამოუკიდებელ შეფასების პროცესს, რისკის ფაქტორების შემცირების სისტემას დამტკიცების პროცესში, მონიტორინგსა და გადაფასებას.

საკრედიტო რისკის რესტრუქტურიზაცია და ინკასირება

ბანკს გააჩნია პორტფელის ზედამხედველობის კომპლექსური სისტემა გაუარესებული ან პრობლემური საკრედიტო მოცულობების დროულად დადგენის და წინასწარი გამოსწორების ზომების მიღების მიზნით. შესაბამისი რესტრუქტურიზაციის ერთეულები შექმნილია ყველა ბიზნეს სეგმენტში იმ მსესხებლების მართვის მიზნით, რომელთა კრედიტუნარიანობა გაუარესდა.

სესხის რესტრუქტურიზაციისას, თუ ვადაგადაცილებული დღეები აჭარბებს 15 დღიან ლიმიტს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის სესხი გადადის მე-3 საფეხურზე (გადაფოლტებული).

თუ ვადაგადაცილებული დღეები გაზრდილია რესტრუქტურიზაციის შემდეგ, თუმცა არ აჭარბებს 15 დღეს, მაშინ ის გადადის მე-2 საფეხურზე და ავტომატურად ენიჭება ვადაგადაცილების კოდი, რომელიც არის +31 დღე მიმდინარე ვადაგადაცილებულ დღეებზე.

საკრედიტო ხარისხი

ფინანსური აქტივის ტიპიდან გამომდინარე, ბანკმა შესაძლოა გამოიყენოს აქტივის საკრედიტო ხარისხის სხვადასხვა წყაროების ინფორმაცია, მათ შორის გადახდისუნარიანობის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ბიუროდან და შიდა ფარგლებში შემუშავებული საკრედიტო რეიტინგები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) არის მომავალი ფულადი დანაკლისების შესაბამისი ალბათობებით შეწონილი შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ეფუძნება ბანკის მიერ გამოყენებულ ოთხ ძირითად კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), და დისკონტირების განაკვეთი. შეფასებები ითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას, კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) ასახავს ალბათობით შეწონილ მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების განვითარებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე.

ბანკი იყენებს სამ-საფეხურიან მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებისთვის და ახდენს მსესხებლების კლასიფიკაციას სამი საფეხურის ფარგლებში: ბანკი ახდენს რისკის პოზიციების კლასიფიკაციას 1 საფეხურზე, თუ თავდაპირველი აღიარებიდან საკრედიტო ხარისხში მნიშვნელოვანი გაუარესება არ მომხდარა და ინსტრუმენტი არ იყო გაუფასურებული კრედიტის თვალსაზრისით თავდაპირველი აღიარებისას. რისკის პოზიცია კლასიფიცირდება 2 საფეხურზე იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება გამოვლინდა თავდაპირველი აღიარებიდან, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებულად. რისკის პოზიციები, რომლებთან დაკავშირებით კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურების ინდიკატორები გამოვლინდა, კლასიფიცირებულია 3 საფეხურზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვის ოდენობა განსხვავდება თითოეულ საფეხურზე განაწილების მიხედვით. 1 საფეხურზე კლასიფიცირების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოადგენს მთლიანი პერიოდის ECL-ს იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს დეფოლტის მოვლენებს ანგარიშგების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში. 2 საფეხურზე განაწილების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოადგენს მთლიანი პერიოდის ECL-ს, ე.ი. საკრედიტო ზარალს, რომელიც შესაძლოა მიეკუთვნოს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი პერიოდის განმავლობაში. ზოგადად, მოქმედების ვადა ითვლება ფინანსური ინსტრუმენტის დაფარვის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის ტოლად.

ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სახელშეკრულებო დაფარვის გრაფიკის არსებობა, დაფარვის ვადის გაგრძელების ოფციონები და ბანკის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესები, გავლენას ახდენენ მოქმედების ვადის განსაზღვრაზე. 3 საფეხურზე კლასიფიცირების შემთხვევაში, დეფოლტი უკვე დამდგარია და მთლიანი პერიოდის ECL შეფასებულია მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

დეფოლტის განსაზღვრება

შეუსრულებლობის განსაზღვრება, რომელიც გამოიყენება ბანკში ფასს 9 გაუფასურების მოდელის მიზნებისთვის შეესაბამება შიდა საკრედიტო რისკის მენეჯმენტისთვის გამოყენებულ განსაზღვრებას და მოიცავს ბანკის ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს.

შეუსრულებლობის განსაზღვრება ემყარება ორ ძირითად კრიტერიუმს. სესხის პოზიცია მიიჩნევა გადეფოლტებულიად ყოველთვის როცა:

- ან სესხის პოზიცია არის 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული
- ან სესხის პოზიცია 15 დღით ვადაგადაცილებულია რესტრუქტურის პირველი თარიღის შემდგომ;

ამასთანავე ბანკმა შესაძლოა გამოიყენოს გადახდისუნარიობის შესახებ ექსპერტების შეფასება, თუ კი ეს არსებობს. შეუსრულებლობის ორივე ზოგადი კრიტერიუმი გამოიყენება ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, მიუხედავად მისი კლასიფიკაციისა პროდუქტის პორტფელის ან კლიენტის სეგმენტების მიხედვით. გადახდისუნარიობის კრიტერიუმის შემთხვევაში კონკრეტული ინდიკატორების სია შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთი პორტფელის ან სეგმენტისთვის მეორესგან იმისთვის, რომ მიემართებოდეს სესხის პოზიციის კონკრეტულ მახასიათებლებს ან ხელმისაწვდომ ინფორმაციას.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ("SICR").

ყოველი ფინანსური ინსტრუმენტისთვის და ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ბანკი აფასებს, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების თარიღის შემდგომ (საკრედიტო რისკის ნიშვნელოვანი გაზრდის ნიშანი). ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე ამ მახასიათებლის ამოცნობისთვის ბანკი ატარებს სხვადასხვა ფაქტორის ისტორიულ ანალიზს, მათ შორის ისეთებზეც, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტისთვის და მსესხებლისთვის არის დამახასიათებელი.

საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი ზრდის მახასიათებლის ამოცნობა შესაძლებელია შემდეგი შეფასების მეთოდებით:

- გადეფოლტების მოსალოდნელი რისკის გაზრდა პირვანდელ შეფასებასთან მიმართებით (პირდაპირ ან გარე და შიდა რეიტინგების ცვლილებით);
- რეალური ან მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილება მსესხებლის საოპერაციო შედეგებში;
- ცვლილებები ბანკის საკრედიტო რისკის მენეჯმენტის მდგომარეობაში ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით
- ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს, რომ ინსტრუმენტის წარმოშობის თარიღის მიხედვით ბანკი ვეღარ დაუშვებს რისკის მიმდინარე დონის არსებობას, რაც გულისხმობს იმას, რომ:
 - ა) ტრანზაქცია საერთოდ არ შედგებოდა ან
 - ბ) ტრანზაქცია შედგებოდა, მაგრამ განსხვავებული პირობებით (გაზრდილი რისკის ასანაზღაურებლად) და/ან არასტანდარტული პროცესის დაწესებით კრედიტის მიღების პროცესში ბანკის უფრო მაღალი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლის ჩართვა).

ჯგუფებს შორის გადასვლის კრიტერიუმი დამოკიდებულია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდასა და შეუსრულებლობაზე:

- თუ საანგარიშგებო თარიღისათვის მსესხებლის სესხის პოზიცია გადადის მე-2 საფეხურზე, მაშინ მთელი პოზიცია ამ მსესხებლის ან მსესხებელთა ჯგუფის მიმართ გადადის მე-2 საფეხურზე საანგარიშგებო თარიღისათვის;
- თუ საანგარიშგებო თარიღისათვის მსესხებლის სესხის პოზიცია მიიჩნევა შეუსრულებლობად, მაშინ მთელი პოზიცია ამ მსესხებლის მიმართ (ან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფის მიმართ) გადადის მე-3 საფეხურზე საანგარიშგებო თარიღისათვის;

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD).

დეფოლტის რისკის პოზიციის პარამეტრი წარმოადგენს მთლიან მოსალოდნელ რისკის პოზიციას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს იმ პერიოდში, რომელშიც გათვალისწინებულია დეფოლტი. დეფოლტის რისკის პოზიციის პარამეტრი გამოყენებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად არის დროზე დამოკიდებული. ბანკი საშუალებას იძლევა პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობები გამოყენებულ იქნას მომდევნო პერიოდებში რისკის პოზიციის არსებობის მანძილზე.

დეფოლტის რისკის პოზიციის პარამეტრი გამოიყენება ყველა 1-ლი და მე-2 საფეხურის ფინანსურ ინსტრუმენტებთან (მათ შორის არა გადეფოლტებული შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებთან), მიუხედავად პროდუქციის სპეციფიკური მახასიათებლების, მათ შორის, განსაზღვრული დაფარვის გრაფიკის არსებობისა.

მე-3 საფეხურის ინსტრუმენტების შემთხვევაში (და დეფოლტში მყოფი შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში) გამოიყენება დეფოლტის რისკის პოზიციის ერთი პარამეტრი და მისი მნიშვნელობა ტოლია მიმდინარე დეფოლტის რისკის პოზიციის. მიმდინარე დეფოლტის რისკის პოზიცია წარმოადგენს იმ რაოდენობას, რომელიც დათვლილია რისკის პოზიციის ბალანსებზე დაყრდნობით საანგარიშგებო თარიღისთვის.

დეფოლტის ალბათობა (PD)

დეფოლტის ალბათობის პარამეტრი აღწერს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტული დროის მონაკვეთის განმავლობაში. იგი წარმოადგენს ალბათობას, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს კონტრაქტით გათვალისწინებული სავალო ვალდებულებების დაკმაყოფილებას. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი დამოკიდებულია დროის ფაქტორზე (ე.ი. გააჩნია კონკრეტული დროის სტრუქტურა) და გამოიყენება ყველა არა-დეფოლტში მყოფ კონტრაქტებზე.

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიდგომა ასევე განსხვავებულია სხვადასხვა დროის პერიოდისთვის და შემდეგ კორექტირდება აღნიშნულ პერიოდში პროგნოზირებული მაკროეკონომიკური ცვლადების მოსალოდნელი ზემოქმედების გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისთვის გამოიყენება ორი ტიპის დეფოლტის ალბათობა: 12-თვიანი და მთლიანი პერიოდის PD. მთლიანი პერიოდის PD წარმოადგენს მოსალოდნელ დეფოლტის ალბათობას, რომელიც შესაძლოა მოხდეს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დანარჩენ ვადაში და წარმოადგენს 12-თვიანი ზღვრული PD-ების ჯამს ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის პერიოდში. ბანკი იყენებს სხვადასხვა სტატისტიკურ მიდგომებს, როგორცაა 12-თვიანი PD-ების ექსტრაპოლაცია მიგრაციის მატრიცების საფუძველზე, არსებობის პერიოდის PD მრუდების შემუშავება ისტორიული დეფოლტის მონაცემების საფუძველზე და გრძელვადიანი PD-ს თანდათანობითი დაახლოება გრძელვადიან დეფოლტის განაკვეთთან.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის (დეფოლტის) შემთხვევაში წარმოადგენს დეფოლტის შემთხვევაში ფინანსური აქტივის დაკარგვიდან რისკის პოზიციის პროცენტულ წილს.

ვალდებულების შეუსრულებლობის (დეფოლტის) შემთხვევაში ზარალის შეფასების პროცესი ეფუძნება დაშვებას, რომ დეფოლტის შემდეგ სესხი ისევ ინარჩუნებს გადეფოლტებულის სტატუსს და ექვემდებარება აღდგენის პროცესს. (non-cure assumption)

ეს დაშვება დაფუძნებულია მთლიან აღდგენაზე საცალო სეგმენტის შემთხვევაში, ხოლო კორპორატიული/მცირე და საშუალო ბიზნეს სეგმენტის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს დამატებითი დიფერენცირებული ფულადი სახსრებად და უზრუნველყოფის აღდგენად,

შესაძლებლობა იმისა რომ უზრუნველყოფის აღდგენა შევიდეს ვალდებულების შეუსრულებლობის (დეფოლტის) შემთხვევისთვის ზარალის გამოთვლის მოდელში, დამოკიდებულია ბანკის მიერ შეუშავებულ ფულის მიღების პრცედურებსა და ისტორიულ მონაცემების ხელმისაწვდომობაზე.

არაგადეფოლტებული სესხების პოზიცია

LGD პარამეტრი, რომელიც შემუშავებულია ჰომოგენური არაგადეფოლტებული რისკის პოზიცია ქვე-პორტფელისთვის არის დროზე დამოკიდებული, ანუ ახასიათებს დროითი სტრუქტურა. ეს ბანკს LGD პარამეტრის შემუშავებაში მეტ მოქნილობას სძენს, რამეთუ პარამეტრი ზუსტად იმ დროის მონაკვეთს მიემართება, რომელშიც კონკრეტული დეფოლტი შეიძლება მოხდეს.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

გადეფოლტებული სესხების პოზიცია

გადეფოლტებული რისკის პოზიციის LGD პარამეტრი არ ექვემდებარება დროით სტრუქტურას, რადგან ეს რისკის პოზიცია უკვე გადეფოლტებულია. მსგავსი მიდგომა ხასიათდება სპეციფიური აღდგენის ნორმებით. ზოგადი LGD მიდგომის მიხედვით, მაკროეკონომიკური ფაქტორები განიხილება შემდეგ ჭრილში:

- აღდგენის ნორმების დაკორექტირება
- აღდგენის ან აღდგენის ნორმების კორექტირება და უზრუნველყოფილი პორტფელის უზრუნველყოფის ღირებულება

საპროგნოზო ინფორმაცია

საკრედიტო რისკის შეფასებისას ბანკი ითვალისწინებს მაკროეკონომიკური ფაქტორების საპროგნოზო მაჩვენებლებს სხვადასხვა სიტუაციების ანალიზის საფუძველზე. ეს სიტუაციები მოიცავს ყველაზე მეტად მოსალოდნელ, ყველაზე მეტად მოსალოდნელზე უკეთეს და უარეს სიტუაციებს განვითარების შესაბამისი ალბათობებით.

ზემოთ აღნიშნული სიტუაციები ითვალისწინებს მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომელიც ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაცია ბანკის გაუფასურების საფუძვლებისთვის გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

- 1) იმ ფინანსური ინსტრუმენტების განსაზღვრა, რომლებისთვისაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილია თავდაპირველის აღიარების შემდგომ (მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბანკი ახორციელებს კონკრეტული ინსტრუმენტების ან ინსტრუმენტების ჯგუფის კორექტირებას ეკონომიკაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამისად).
- 2) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების განსაზღვრა ეკონომიკური გარემოს სხვადასხვა შესაძლო მდგომარეობის შეფასების გზით.

ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შეფასებისას ბანკი ითვალისწინებს ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, რაც წარმოადგენს დეფოლტის მოსალოდნელ რისკს სიტუაციის სხვადასხვაგვარად განვითარების შემთხვევაში და ადარებს ამ მაჩვენებელს ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების დროს არსებულ შესაბამისი მაჩვენებელის სიდიდეს.

მოსალოდნელი საკრედიტო რისკის ანალიზისას ბანკი განსაზღვრავს ამ პარამეტრს ცალ-ცალკე სხვადასხვა სიტუაციაში და ღებულობს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების საბოლოო შეფასებას, რომელიც შემდგომ გამოიყენება დანაკარგების რეზერვის გაანგარიშების პროცესში როგორც შეწონილი ალბათობა, სადაც წონებს წარმოადგენს ინდივიდუალური სიტუაციების დადგომის ალბათობები.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი იმართება ბანკის ზემოთ აღწერილი შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემით. ცხრილში მოცემულია საკრედიტო ხარისხი აქტივების კლასების მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სასესიო მუხლებისთვის, ცხრილებში მოყვანილ კატეგორიებზე დაყრდნობით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		მაღალი შეფასება	სტანდარტუ ლი შეფასება	სტანდარტუ ლზე დაბალი შეფასება	გაუფასურე ბული	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)		35,509,492	-	-	-	35,509,492
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში		13,512,500	-	-	-	13,512,500
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		23,280,588	-	-	-	23,280,588
კლიენტებზე გაცემული სესხები						
ბიზნეს სესხი	საფეხური 1	16,976,883	-	-	-	16,976,883
ბიზნეს სესხი კორპ.	საფეხური 1	10,456,232	-	-	-	10,456,232
ბიზნეს სესხი კორპ.	საფეხური 2	6,189,370	-	-	-	6,189,370
ბიზნეს სესხი კორპ.	საფეხური 3	-	-	156,423	167,862	324,285
საკრედიტო ხაზი	საფეხური 1	7,226,482	-	-	-	7,226,482
იპოთეკური სესხი	საფეხური 1	5,581,847	187,245	-	-	5,769,092
იპოთეკური სესხი	საფეხური 2	-	-	222,155	-	222,155
იპოთეკური სესხი	საფეხური 3	47,130	-	50,594	135,883	233,607
სამომხმარებლო სესხი	საფეხური 1	2,681,964	-	-	-	2,681,964
სამომხმარებლო სესხი	საფეხური 2	2,335	-	4,288	-	6,623
სამომხმარებლო სესხი	საფეხური 3	4,486	-	-	42,579	47,065
ფინანსური გარანტიები	საფეხური 1	30,600,269	-	-	-	30,600,269
		152,069,578	187,245	433,460	346,324	153,036,607

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		მაღალი შეფასება	სტანდარტ ული შეფასება	სტანდარტუ ლზე დაბალი შეფასება	გაუფასუ რებული	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)		31,777,244	-	-	-	31,777,244
სავალდებულო რეზერვები		10,372,884	-	-	-	10,372,884
საქართველოს ეროვნულ ბანკში საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		28,705,073	-	-	-	28,705,073
კლიენტებზე გაცემული სესხები						
ბიზნეს სესხი	საფეხური 1	8,595,884	366,163	-	-	8,962,047
ბიზნეს სესხი	საფეხური 3	-	-	-	36,068	36,068
ბიზნეს სესხი კორპ.	საფეხური 1	12,894,057	-	-	-	12,894,057
ბიზნეს სესხი კორპ.	საფეხური 3	-	206,248	227,475	-	433,723
საკრედიტო ხაზი	საფეხური 1	3,661,756	-	-	-	3,661,756
იპოთეკური სესხი	საფეხური 1	4,718,631	326,417	-	-	5,045,048
იპოთეკური სესხი	საფეხური 2	-	2,603	-	-	2,603
იპოთეკური სესხი	საფეხური 3	-	13,173	-	172,558	185,731
სამომხმარებლო სესხი	საფეხური 1	3,369,760	35,582	-	-	3,405,342
სამომხმარებლო სესხი	საფეხური 2	43,963	-	-	-	43,963
სამომხმარებლო სესხი	საფეხური 3	176,368	-	-	47,875	224,243
ფინანსური გარანტიები	საფეხური 1	26,654,600	-	-	-	26,654,600
		130,970,220	950,186	227,475	256,501	132,404,382

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა ბანკმა ბალანსზე ასახული კრედიტებისთვის ასე განსაზღვრა:

- ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის ვადაგადაცილებული, ფასდება მაღალი ხარისხის ფინანსურ აქტივად;
- ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის 30 დღემდე ვადით არის გადაცილებული, ფასდება სტანდარტული ხარისხის ფინანსურ აქტივად;
- ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის 30 დღიდან 90 დღემდე ვადით არის გადაცილებული, ფასდება სტანდარტულზე დაბალი ხარისხის ფინანსურ აქტივად.

ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა ბანკმა ბალანსზე ასახული კრედიტებისთვის ასე განსაზღვრა:

- რეიტინგის მინიჭება სესხების გაცემის ვალდებულებებისთვის ისეთი კლიენტებისთვის, რომლებსაც სესხები ან რამე სხვა ბალანსური კრედიტი აქვთ, შეესაბამება ბალანსზე ასახულ რეიტინგებს. სესხების გაცემის ვალდებულებების შემთხვევაში, სესხების გაცემის პირობით ვალდებულებებს ენიჭება მაღალი ხარისხი. სესხების გაცემის უპირობო ვალდებულებებს ხარისხი ენიჭება კლიენტების კრედიტუნარიანობის მიხედვით, რასაც ბანკის ექსპერტები აკონტროლებენ.
- ფინანსურ გარანტიებს ენიჭება მაღალი ხარისხი, თუ კლიენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თუ კლიენტი ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, იგი მიეკუთვნება სტანდარტული ხარისხის კატეგორიას, თუ ვერ ასრულებს, მაშინ – სტანდარტულზე დაბალ კატეგორიას, ხოლო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში – გაუფასურებულ კატეგორიას.

ბანკის პოლიტიკა ითვალისწინებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. ეს ამარტივებს არსებული რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას საქმიანობის ყველა სფეროსა და პროდუქტის მიხედვით. რეიტინგის სისტემა დამყარებულია სხვადასხვა ფინანსურ ანალიზზე, აგრეთვე დამუშავებულ საბაზრო მონაცემებზე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს აუცილებელ კომპონენტს კონტრაგენტის რისკის შეფასებისთვის.

ფინანსური გარანტიები და სასესხო დავალიანება ფასდება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები გამოითვლება სესხების ანალოგიურად.

გაუფასურების რეზერვის შეფასების მიზნებისთვის გამოუყენებელ რისკებთან დაკავშირებით, რომელსაც ბანკი განასხვავებს გამოხმობად და გამოუხმობ სასესხო ვალდებულებებს შორის. გამოხმობად ვალდებულებებთან დაკავშირებით ბანკი არ ქმნის გაუფასურების რეზერვს. გამოუხმობ გაუნაწილებელ რისკებთან დაკავშირებით ბანკი აფასებს გამოყენების პარამეტრს (რომელიც წარმოადგენს მოსალოდნელი ზღვარის გამოყენების პროცენტულ მაჩვენებელს, რომელიც შესაძლებელია დეფოლტის შემთხვევაში) რისკის ბალანსგარეშე ნაწილის კონვერტაციისთვის საბალანსო ნაწილში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ისეთი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის ზოგად ვითარებაზე. საბაზრო რისკის ძირითადი ტიპებია საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი და მათი მერყეობის დონე. საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს, რომლებიც ბანკის საშუაშალო საქმიანობიდან წარმოიშობა. ბანკს აქვს თავის საბანკო პორტფელთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ დინამიკაზე ან სამართლიან ღირებულებებზე.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების განაკვეთების გადასინჯვის ან დაფარვის ვადის თავისებურებების გამო ერთი წლის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე საპროცენტო განაკვეთებში ნაგარაუდვეი ცვლილებების ეფექტს. ბანკს ექმნება საპროცენტო განაკვეთის რისკი, თუ კონკურენტები მკვეთრად შეამცირებენ საპროცენტო განაკვეთებს სასესხო პროდუქტებზე ან გაიზრდება ფულადი სახსრების მოზიდვის ხარჯი მაკროეკონომიკური, და კონკრეტულად ბანკთან დაკავშირებული, მოვლენების გამო.

ბანკის მიერ შეთავაზებული კრედიტები და დეპოზიტები წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში პოტენციური ცვლილებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაზე. ეს რისკი წარმოიქმნა უცხოური სავალუტო აქტივებისა და ვალდებულებების შეუსაბამობით გამოწვეული ღია სავალუტო პოზიციებისგან. სებ-მა მოსთხოვა ბანკს შეამოწმოს როგორც ბალანსი ასევე მთლიანი (არასაბალანსო ანგარიშის ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციები და შეინარჩუნოს ასეთი პოზიციები ბანკის საზედამხებდებლო კაპიტალის 20%-ის ფარგლებში.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ბანკს ჰქონდა მთლიანი (ნეგატიური) უცხოური ვალუტის პოზიცია საზედამხებდებლო კაპიტალის 0.3% (2018 წელს: -0.3%);

ბანკის მიერ ასეთი ლიმიტების დაცვა მოწმდება ყოველდღიურად სახაზინო და ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტების ხელმძღვანელების მიერ.

ბანკს დამტკიცებული აქვს სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანიც არის ბანკისთვის სავალუტო რისკების მართვის პარამეტრების დაწესება. სავალუტო რისკის მართვის პროცესი, სხვებთან ერთად, შემდეგსაც მოიცავს:

- ადევკატური მეთოდოლოგიის შერჩევა სავალუტო რისკის გამოვლენასა და რაოდენობრივ შეფასებაზე;
- ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური მონიტორინგი;
- სავალუტო რისკის მინიმუმამდე დაყვანა დადგენილი ლიმიტების დაცვით;
- გაზრდილი სავალუტო რისკის არსებული და მოსალოდნელი უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა და ამის მიზეზებისა და შესაძლო შედეგების ანალიზი;
- რეკომენდაციების შემუშავება სავალუტო რისკის მართვის სტრატეგიაზე;
- სავალუტო რისკის ოპერაციებში გამოყენებული ინსტრუმენტების ტიპებისა და ლიმიტების განსაზღვრა.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია ბანკისთვის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ვალუტები, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის პროცესში ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც სრული შემოსავლის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრძნობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო).

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	31.12.2019
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,774,482	26,365,143	4,163,806	273,926	39,577,357
სავალდებულო რეზერვები	-	12,462,336	1,050,164	-	13,512,500
საქართველოს ეროვნულ ბანკში მომხმარებელზე გაცემული მთლიანი სესხები გაუფასურებამდე	33,261,452	16,872,306	-	-	50,133,758
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	23,280,588	-	-	-	23,280,588
სხვა ფინანსური აქტივები	42,563	7,792	2,549	128,906	181,810
	65,359,085	55,707,577	5,216,519	402,832	126,686,013
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	12,497,886	52,761,833	5,156,549	412,291	70,828,559
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	-	2,200,857	-	-	2,200,857
საიჯარო ვალდებულება	169,998	279,911	-	-	449,909
სხვა ფინანსური ვალდებულებები	254,582	296,280	592	13,161	564,615
	12,922,466	55,538,881	5,157,141	425,452	74,043,940
ღია სავალუტო პოზიცია	52,436,619	168,696	59,378	(22,620)	

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	31.12.2018
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	17,995,655	16,326,670	730,198	239,037	35,291,560
სავალდებულო რეზერვები	-	9,974,773	398,111	-	10,372,884
საქართველოს ეროვნულ ბანკში მომხმარებელზე გაცემული მთლიანი სესხები გაუფასურებამდე	19,751,272	15,143,309	-	-	34,894,581
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	28,705,073	-	-	-	28,705,073
სხვა ფინანსური აქტივები	63,487	9,768	572	20	73,847
	66,515,487	41,454,520	1,128,881	239,057	109,337,945
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	16,764,164	41,320,025	1,143,332	336,228	59,563,749
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	-	2,023,209	-	-	2,023,209
სხვა ფინანსური ვალდებულებები	201,472	3,026	566	13,858	218,922
	16,965,636	43,346,260	1,143,898	350,086	61,805,880
ღია სავალუტო პოზიცია	49,549,851	(1,891,740)	(15,017)	(111,029)	

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობის ანალიზი

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ბანკის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ბანკის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / ევრო	ლარი / ევრო	ლარი / სხვა	ლარი / სხვა
31.12.2019	20%	-20%	20%	-20%	20%	-20%
მოგება/ (ზარალი)	33,739	(33,739)	11,876	(11,876)	(4,524)	4,524
	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / ევრო	ლარი / ევრო	ლარი / სხვა	ლარი / სხვა
31.12.2018	20%	-20%	20%	-20%	20%	-20%
მოგება/ (ზარალი)	(378,348)	378,348	(3,003)	3,003	(22,206)	22,206

ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ბანკს ან არ აქვს ყველა თავისი ვალდებულებების შესრულებისთვის საკმარისი რესურსები, როცა მათი შესრულების დრო დადგება, ან ხელი მიუწვდება ასეთ რესურსებზე მხოლოდ მაღალ ფასად. ლიკვიდურობის რისკი იმართება ფინანსური რისკის მართვისა და სახაზინო დეპარტამენტების მიერ და კონტროლდება ბანკის აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ.

ლიკვიდურობის რისკის შემცირება ხდება ბანკში არსებული პროცედურებით, პოლიტიკებით, ლიმიტებითა და ყოველდღიური მენეჯმენტით, რომელიც შესაბამისობაშია ბანკის რისკის მიმართ ტოლერანტობასთან, რისკის სტრატეგიასთან და ბიზნეს სტრატეგიასთან.

ლიკვიდურობის რისკის შემცირების ძირითადი ხერხებია ლიკვიდურობის რეზერვების შექმნა, დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება და დაფინანსების ვადების გახანგრძლივება.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალდებულო მოთხოვნები ლიკვიდურობასთან დაკავშირებით

სებ-ი საქართველოში მოქმედი ყველა ბანკისგან მოითხოვს, რომ დაიცვან მინიმუმ 30.0%-იანი საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება, როგორც საშუალო ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა შესაბამისი თვის საშუალო ვალდებულებებთან, ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრებისა და გარებალანსური ვალდებულებების ნაწილის (ექვს თვემდე დარჩენილი ვადით) ჩათვლით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 98.6% იყო (2018 წლის 31 დეკემბერი: 115.9%).

ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულება (#70/04 დებულება) სებ-მა დაამტკიცა და გამოაქვეყნა 2017 წლის 15 მაისს და ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბრიდან. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება ბაზელ III-ის პრინციპების თანახმად, თუმცა უფრო მაღალი კოეფიციენტებიც დასაშვებია. სებ-ი ყველა ბანკს ავალდებულებს, რომ ყოველდღიურად შეინარჩუნონ 75.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი ლარში, 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი უცხოურ ვალუტაში და 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი მთლიანობაში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მთლიანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 213.2%-ს. იგივე კოეფიციენტი ლარში იყო 871.6%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 125.5% (2018 წ.: მთლიანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი იყო 218.0%, იგივე კოეფიციენტი ლარში იყო 1145.0%, ხოლო უცხოურ ვალუტაში – 104.0%).

დარჩენილი საკონტრაქტო ვადების ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, ბანკი მოელის, რომ მეანაბრეთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ბანკს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ბანკის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	სულ 31.12.2019
ვალდებულებები			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	69,970,558	858,001	70,828,559
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	2,200,857	-	2,200,857
საიჯარო ვალდებულება	177,342	446,378	623,720
სხვა ფინანსური ვალდებულებები	564,615	-	564,615
სულ ფინანსური ვალდებულებები	72,913,372	1,304,379	74,217,751
საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები	1,830,379	-	1,830,379
ფინანსური გარანტიები	23,079,542	7,520,727	30,600,269
სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები	24,909,921	7,520,727	32,430,648

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	სულ 31.12.2018
ვალდებულებები			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	58,354,786	1,208,963	59,563,749
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	-	2,023,209	2,023,209
სხვა ფინანსური ვალდებულებები	218,922	-	218,922
სულ ფინანსური ვალდებულებები	58,573,708	3,232,172	61,805,880
საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები	361,750	-	361,750
ფინანსური გარანტიები	5,678,761	20,975,839	26,654,600
სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები	6,040,511	20,975,839	27,016,350

აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ხაზინის განყოფილება მართავს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს. აქტივებისა და ვალდებულებების მოდელირება საჭიროა, როდესაც საკონტრაქტო ვადა ადეკვატურად არ ასახავს ლიკვიდურობის რისკის პოზიციას. ბანკის შემთხვევაში ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი იქნებოდა საცალო, კორპორატიული და მუნიციპალური თუ სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიმდინარე და შემნახველი ანგარიშები. მართალია, ხელშეკრულებების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშები მოთხოვნამდე იფარება და შემნახველი ანგარიშები მცირე ხნით ადრე მოთხოვნისას, მომხმარებლების ფართო ბაზა – რიცხოვრები თვალსაზრისითაც და მეანაბრების ტიპების მიხედვითაც – ეხმარება ბანკს ნაშთების მოულოდნელი მერყეობისგან თავის დასაცავად. ასეთი ანგარიშები ქმნის ფინანსური რესურსების სტაბილურ ბაზას ბანკის ოპერაციებისა და ლიკვიდურობის საჭიროებებისთვის.

კლიენტის ანგარიშებში შეტანილი ვადიანი დეპოზიტები კლასიფიცირებულია კონტრაქტით გათვალისწინებული დაფარვის ვადების მიხედვით, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფიზიკურ პირებს აქვთ უფლება გამოიტანონ თავიანთი დეპოზიტები მათი გადახდის ვადის დადგომამდე, თუ ისინი ნაწილობრივ ან მთლიანად უარს იტყვიან დაგროვილ პროცენტზე და ბანკი ვალდებულია დააბრუნოს ასეთი დეპოზიტი მეანაბრის მოთხოვნისთანავე. ისტორიულ გამოცდილებასთან ერთად, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ბევრი კლიენტი არ მოითხოვს თანხის დაბრუნებას ვადაზე ადრე და შესაბამისად, ცხრილი არ ასახავს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას ბანკის მიერ მითითებულ დეპოზიტის შეკავების ისტორიის ფაქტობრივი ფულადი სახსრების ნაკადებისადმი.

ვალდებულებების ვადიანობა დამოკიდებულია ხელშეკრულების მიხედვით უადრეს ვადაზე, ან პირველივე მოთხოვნაზე. მიმდინარე და შემნახველი ანგარიშების ნაწილი წარმოდგენილია ერთ წელზე მეტი ვადის დიაპაზონში მათი სტაბილური ხასიათის გამო. კლიენტთა დეპოზიტების დივერსიფიცირება დეპოზიტორთა რაოდენობისა და ტიპის მიხედვით და ბანკის გამოცდილება იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ანგარიშები და დეპოზიტები წარმოადგენს დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს, აქედან გამომდინარე ისინი განთავსებულია სახსრების გადინების სავარაუდო დროის მიხედვით ბანკის მიერ წინა პერიოდების დროს დაგროვილი სტატისტიკური მონაცემისა და მიმდინარე ანგარიშების ნაშთების „მუდმივ“ ნაწილთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდების საფუძველზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ზარალის განცდის საფრთხე, რომელსაც განაპირობებს შიდა პროცესების, სისტემების, ან ადამიანების არაადეკვატურობა ან უმოქმედობა, ან გამოწვეული, შემთხვევითი, თუ ბუნებრივი გარე მოვლენები. გარე მოვლენებს, სხვებთან ერთად, მიეკუთვნება თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ტერორისტების თუ ჰაკერების თავდასხმა.

საკრედიტო ან საბაზრო მოვლენები, როგორცაა გადაუხდელობა ან ღირებულების მერყეობა საოპერაციო რისკის ფარგლებში არ ექცევა. საოპერაციო რისკის ნაწილია შესაბამისობის რისკიც. შესაბამისობის რისკი არის იმის შესაძლებლობა, რომ ბანკს მარეგულირებელი ორგანოსგან დაეკისროს სანქციები, განიცადოს ფინანსური ზარალი და/ან საფრთხე შეექმნას მის რეპუტაციას იმის გამო, რომ მან ვერ შეასრულა მოქმედი კანონმდებლობა, კანონქვემდებარე აქტები და ნორმები. საოპერაციო რისკი არ მოიცავს რეპუტაციის და სტრატეგიულ რისკებს.

საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი მიზანია არაადეკვატური ან გაუმართავი შიდა პროცესების, ადამიანების ან სისტემების, ან გარე მოვლენების მიერ განპირობებული რისკების განსაზღვრა და, თუ შესაძლებელია, მათი შემცირება ეკონომიკური თვალსაზრისით გონივრულ დონემდე.

საოპერაციო რისკის მართვის კუთხით ბანკი მიმართავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ინციდენტების აღრიცხვა და ანგარიშგება
- რისკისა და კონტროლის თვითშეფასებებს
- რეგულარულ საინფორმაციო სისტემების აუდიტს და შეღწევადობის ტესტირებას
- აუტოსორსინგული ოპერაციების რისკების შეფასება
- ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და შესაბამისი სტრეს-ტესტირება

ბანკის სტანდარტებთან შესაბამისობას ხელს უწყობს შიდა აუდიტის მიერ განხორციელებული პერიოდული შემოწმებების პროგრამა. შიდა აუდიტის შემოწმებების შედეგები განიხილება შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელებთან და შედეგები წარედგინება აუდიტის კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოს.

რისკის შემცირების მთავარი მექანიზმები, რომლებსაც ბანკი გამოიყენებს, ეყრდნობა საოპერაციო რისკის პროფილს და სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკას რისკის დასაშვები დონის შესახებ. ბანკი აქტიურად იყენებს კორპორატიულ დაზღვევას თავისი საოპერაციო რისკების შესამცირებლად.

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ბანკს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით. ბანკის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით. ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსური ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-2 და მე-3 დონის მიხედვით.

5. კაპიტალის მართვის მიდგომა

ბანკის კაპიტალის მართვის მიზანია მუდმივად უზრუნველყოს თავისი გადახდისუნარიანობა, დააკმაყოფილოს საზედამხედველო და შიდა კაპიტალის მოთხოვნები და შეინარჩუნოს კაპიტალის გონივრული მაჩვენებელი ბანკის ცნობილი (და, გარკვეულწილად, უცნობი) რისკებისგან დასაცავად.

ბანკის მიერ თავისი მთლიანი კაპიტალის მართვა ეყრდნობა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესს, რომელიც წარმოადგენს მისი კაპიტალის მართვის ძირითად ინსტრუმენტს. გარდა ამისა, კაპიტალის სამართავად ბანკი ასევე იყენებს აღდგენის გეგმას, რომელიც შეიცავს საზედამხედველო კაპიტალის კრიტიკულ ზღვრებსა და აღდგენის სტრატეგიებს.

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკი შეესაბამება ყველა მის შიდა და გარეშე განსაზღვრულ კაპიტალურ მოთხოვნებს 2019 და 2018 წლებში.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ III-ის მიხედვით

2017 წლის 18 დეკემბერს, სებ-მა გამოსცა და დაამტკიცა ცვლილებები კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულებაში (გადაწყვეტილება #100/04), რომლითაც გადაიხედა მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, მოიცვა პილარ I-ის მოდელი და განისაზღვრა კაპიტალის კონსერვაციის, სისტემური რისკისა და კონტრციკლური ბუფერები (პილარ I-ის ბუფერები).

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები განისაზღვრებოდა 4.50%-ით, 6.00%-ით, 8.0%-ით შესაბამისი თანმიმდევრობით, რომლებზეც დამატებით ბანკი ვალდებული იყო შეენარჩუნებინა პილარ I-ის ბუფერები და პილარ II-ის მოთხოვნები.

კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის განაკვეთი 2.50%-ით, ხოლო კონტრციკლური ბუფერის – 0.00%-ით განისაზღვრა. პილარ I-ის ბუფერებში ცვლილებების შეტანა სებ-ის უფლებამოსილებაა.

2017 წლის 18 დეკემბერს, პილარ I-ის ბუფერებზე დამატებით, სებ-მა ასევე გამოსცა და დაამტკიცა პილარ II-ის მოთხოვნები. პილარ II-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ კაპიტალის ბუფერებს: არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR), წმინდა GRAPE (რისკების შეფასების საერთო პროგრამა) ბუფერი, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა სტრეს-ტესტის (სტრესგამძლეობის ანალიზი) ბუფერი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ვალდებული იყო, შეენარჩუნებინა სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი 0.79% (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 0.82%-ის ოდენობით), ძირითადად, მომხმარებლებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების პროცენტული წილის გამო, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი (HHI ბუფერი) 1.28%-ის ოდენობით (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5.89%), წმინდა GRAPE ბუფერი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3.10% (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2.80%-ის ოდენობით) და წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი 0%-ის ოდენობით როგორც 2019, ასევე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

5. კაპიტალის მართვის მიდგომა (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზელ III-ის მოთხოვნების მიხედვით, ბანკს ევალუბოდა, რომ შეენარჩუნებინა მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 15.67%-ის ოდენობით, ასევე პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 9.97%-ის ოდენობით, და ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი – რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 8.10%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება ბანკის მიერ სეზ-ის მოთხოვნების მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 20.01%, 10.85%, 8.76% შესაბამისი თანმიმდევრობით).

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ინარჩუნებდა კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს სეზ-ის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ 2013 წლის 28 ოქტომბერს დამტკიცებული და გამოქვეყნებული დებულების (#100/04 დებულება) შესაბამისად და აკორექტირებდა სეზ-ის ნებაყოფლობითი მუხლების მიხედვით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 30 ივნისიდან.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, სეზ-ის ბაზელ II/III-ის მოთხოვნების თანახმად, შემდეგნაირად გამოითვლება:

	2019	2018
მფლობელთა კაპიტალი	50,000,000	50,000,000
გაუნაწილებელი მოგება სეზ-ის რეგულ. მიხედვით	5,742,852	2,271,094
მინუს: არამატერიალური აქტივები	(624,502)	(311,517)
პირველადი კაპიტალი	55,118,350	51,959,577
საერთო რეზერვები	1,233,882	1,207,097
მეორადი კაპიტალი	1,233,882	1,207,097
საზედამხედველო კაპიტალი	56,352,232	53,166,674
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები სეზ-ის რეგ (RWA)	98,710,529	95,184,281
მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (პირვ.კაპ / RWA)	55.84%	54.59%
საზედამხ. კაპიტალის კოეფიციენტი (საზედ.კაპ / RWA)	57.09%	55.86%

6. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

ბანკის ხელმძღვანელობამ 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები და გააკეთა რეკლასიფიკაციები. მენეჯმენტის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას და მოგება-ზარალს. კონკრეტულად, ხელმძღვანელობამ განახორციელა ცვლილებები შემდეგ საკითხებზე:

- მოახდინა გადავადებული მოგების გადასახადის დათვლა და მასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯისა და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულების ასახვა 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და მოგება-ზარალში;
- მოახდინა ნებაყოფლობითი რეკლასიფიკაციები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის;

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

წინა პერიოდის შეცდომების და რეკლასიფიკაციების გასწორების ეფექტი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე შემდეგია:

	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირების ეფექტი	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშ ებული
აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	1,865,585	-	(1,865,585)	-
სხვა აქტივები	205,395	-	1,865,585	2,070,980
ვალდებულებები				
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	-	166,776	-	166,776
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	3,089,577	(166,776)	-	2,922,801

წინა პერიოდის შეცდომების და რეკლასიფიკაციების გასწორების ეფექტი 2018 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე

	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირების ეფექტი	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშ ებული
საპროცენტო შემოსავალი	4,583,755	-	67,885	4,651,640
საკომისიო შემოსავალი	1,188,478	-	(67,885)	1,120,593

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელებული ცვლილებები მუხლების მიხედვით შემდეგია:

	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირების ეფექტი	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშ შეზღუდული
აქტივები				
სხვა აქტივები	253,373	-	(27,178)	226,195
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	27,178	-	(27,178)	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	-	38,097	-	38,097
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	833,037	(38,097)	-	794,940

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს:

	31.12.2019	31.12.2018
ერთდღიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში	22,941,600	14,453,641
ფული სალაროში	4,067,865	3,514,316
საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ბანკებში	4,915,550	660,010
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში, გარდა სავალდებულო რეზერვისა	7,652,342	16,663,593
	39,577,357	35,291,560

საბანკო ანგარიშებზე ფულადი ნაშთი შეიძლება კლასიფიცირებული იყოს რისკის გარეშე, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ბანკს აქვს მიმდინარე ანგარიშები, საიმედო და ცნობილი ქართული საკრედიტო ინსტიტუტებია.

ხარისხობრივი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების და 90 დღემდე ვადიანი დეპოზიტების საკრედიტო რეიტინგი ასეთია:

	31.12.2019	31.12.2018
B+	10,522,577	15,042,521
BB-	17,334,572	71,130
	27,857,150	15,113,651

ცხრილებში მოცემულია საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-ის მიერ მინიჭებული რეიტინგები.

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „Fitch Ratings“-ის მიხედვით საქართველოს მთავრობის გრძელვადიანი უცხოური და ადგილობრივი ვალუტის ემიტენტის დეფოლტის რეიტინგები (IDRs) უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში, განსაზღვრულია „BB-“, დადებითი პროგნოზებით. ემიტენტის რეიტინგები საქართველოს უფროსი არაუზრუნველყოფილ ობლიგაციებზე უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში ასევე დადასტურებულია „BB-“ რეიტინგით. ქვეყნის ზედა ზღვარი დადასტურებულია როგორც „BB“ და მოკლევადიანი უცხოური ვალუტაში ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი „B“თი.

8. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში (‘სებ’) წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხებს. რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებული არიან იქონიონ საპროცენტო შემოსავლის მომტან აქტივებზე სავალდებულო რეზერვი სებ-ში, რომლის თანხა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდული სახსრების დონეზე.

სავალდებულო ფულის ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგენილია 13,512,500 ლარის ოდენობით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10,372,884 ლარი).

ხარისხობრივი ინფორმაცია სავალდებულო რეზერვების შესახებ საქართველოს ეროვნულ ბანკში მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31.12.2019	31.12.2018
გრძელვადიანი სესხები		
სავაჭრო და მომსახურების სექტორი	31,641,534	19,056,068
ფიზიკური პირები	10,436,961	10,645,070
სამშენებლო სექტორი	1,473,125	682,078
სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სექტორი	622,818	-
სხვა სექტორი	-	18,026
სულ გრძელვადიანი სესხები	44,174,438	30,401,242
მოკლევადიანი სესხები		
სავაჭრო და მომსახურების სექტორი	3,315,136	2,693,113
სამშენებლო სექტორი	1,262,080	996,981
ფიზიკური პირები	33,058	442,985
სულ მოკლევადიანი სესხები	4,610,274	4,133,079
დარიცხული პროცენტი	1,284,148	240,276
ვადაგადაცილებული სესხები	64,882	119,865
მოკლევადიან სესხებზე დარიცხული ჯარიმები	16	14
გრძელვადიან სესხებზე დარიცხული ჯარიმები	-	105
მთლიანი სესხები ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურებამდე	50,133,758	34,894,581
გაუფასურების რეზერვი	(702,779)	(704,406)
სესხები ამორტიზებული ღირებულებით	49,430,979	34,190,175

კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 22,762,323 ლარს ანუ ბანკის მთლიანი სასესხო პორტფელის 45.4%-ს. (2018 წელს 14,504,155 ლარს და მთლიანი სასესხო პორტფელის 41.57%-ს). აღნიშნული სესხებისთვის შეიქმნა რეზერვი 344,489 ლარის ოდენობით. (2018 წელს 15,466 ლარის ოდენობით).

გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვებს შორის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით:	(704,406)	(930,096)
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება	1,627	225,690
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით:	(702,779)	(704,406)

დამატებითი ხარისხობრივი ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში სეგმენტი_1 საერთო საბალანსო ღირებულება და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხადარი ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სეგმენტი_1	საფეხური 1	საფეხური 2	საფეხური 3	სულ
ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით	5,045,048	2,603	185,731	5,233,382
ახალი სესხები	2,274,030	-	-	2,274,030
გადასვლა პირველ საფეხურზე	-	-	-	-
გადასვლა მეორე საფეხურზე	(225,420)	225,420	-	-
გადასვლა მესამე საფეხურზე	(106,460)	-	106,460	-
გადახდილი სესხები	(653,982)	(2,603)	-	(656,585)
წლის მანძილზე ნეტო ცვლილება	(564,124)	(3,265)	(58,584)	(625,973)
ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	5,769,092	222,155	233,607	6,224,854

სეგმენტი_1	საფეხური 1	საფეხური 2	საფეხური 3	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 01.01.2019 მდგომარეობით	7,444	1,054	140,129	148,627
ახალი სესხები	1,350	-	-	1,350
გადასვლა პირველ საფეხურზე	-	-	-	-
გადასვლა მეორე საფეხურზე	(327)	327	-	-
გადასვლა მესამე საფეხურზე	(153)	-	153	-
გადახდილი სესხები	(951)	(1,054)	-	(2,005)
წლის მანძილზე ნეტო ცვლილება	(2,177)	12,110	(17,418)	(7,485)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 31.12.2019 მდგომარეობით	5,186	12,437	122,864	140,487

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში სეგმენტი_2 საერთო საბალანსო ღირებულება და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხადარი ცვლილებები:

სეგმენტი_2	საფეხური 1	საფეხური 2	საფეხური 3	სულ
ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით	3,405,342	43,963	224,243	3,673,548
ახალი სესხები	1,051,787	-	-	1,051,787
გადასვალ პირველ საფეხურზე	95,457	(43,963)	(51,494)	-
გადასვალ მეორე საფეხურზე	(13,443)	13,443	-	-
გადასვალ მესამე საფეხურზე	(25,020)	-	25,020	-
გადახდილი სესხები	(1,365,580)	-	-	(1,365,580)
წლის მანძილზე ნეტო ცვლილება	(466,579)	(6,820)	(150,704)	(624,103)
ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2,681,964	6,623	47,065	2,735,652

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. მომხმარებელზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სეგმენტი_2	საფეხური 1	საფეხური 2	საფეხური 3	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 01.01.2019 მდგომარეობით	21,241	17,797	158,222	197,260
ახალი სესხები	1,564	-	-	1,564
გადასვალ პირველ საფეხურზე	53,561	(17,797)	(35,764)	-
გადასვალ მეორე საფეხურზე	(83)	83	-	-
გადასვალ მესამე საფეხურზე	(153)	-	153	-
გადახდილი სესხები	(8,509)	-	-	(8,509)
წლის მანძილზე ნეტო ცვლილება	(63,611)	340	(97,857)	(161,128)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 31.12.2019 მდგომარეობით	4,010	423	24,754	29,187

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში სეგმენტი_3-4 საერთო საბალანსო ღირებულება და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხადარი ცვლილებები:

სეგმენტი_3-4	საფეხური 1	საფეხური 2	საფეხური 3	სულ
ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით	25,517,860		469,791	25,987,651
ახალი სესხები	26,340,068	-	-	26,340,068
გადასვალ პირველ საფეხურზე	-	-	-	-
გადასვალ მეორე საფეხურზე	(6,067,068)	6,067,068		-
გადასვალ მესამე საფეხურზე	-	-	-	-
გადახდილი სესხები	(9,168,640)	-	-	(9,168,640)
წლის მანძილზე ნეტო ცვლილება	(1,962,623)	122,302	(145,506)	(1,985,827)
ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	34,659,597	6,189,370	324,285	41,173,252

სეგმენტი_3-4	საფეხური 1	საფეხური 2	საფეხური 3	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 01.01.2019 მდგომარეობით	27,584	-	330,935	358,519
ახალი სესხები	25,519	-	-	25,519
გადასვალ პირველ საფეხურზე	-	-	-	-
გადასვალ მეორე საფეხურზე	(6,430)	6,430	-	-
გადასვალ მესამე საფეხურზე	-	-	-	-
გადახდილი სესხები	(10,149)	-	-	(10,149)
წლის მანძილზე ნეტო ცვლილება	(3,445)	322,927	(160,266)	159,216
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 31.12.2019 მდგომარეობით	33,079	329,357	170,669	533,105

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 01.01.2018	15,815,782
შესყიდვა	54,827,583
დისკონტი	1,742,708
დაფარვა	(43,681,000)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 31.12.2018	28,705,073
შესყიდვა	35,457,813
დისკონტი	1,799,702
დაფარვა	(42,682,000)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 31.12.2019	23,280,588

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	31.12.2019	31.12.2018
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	21,308,290	21,750,575
სებ-ის სადეპოზიტო სერთიფიკატები	1,972,298	6,954,498
	23,280,588	28,705,073

დამატებითი ხარისხობრივი ინფორმაცია საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	პროგრამები და ლიცენზიები
01.01.2018	503,278
შემოსვლა	136,925
31.12.2018	640,203
შემოსვლა	379,813
31.12.2019	1,020,016
დაგროვილი ამორტიზაცია	
01.01.2018	(281,818)
ამორტიზაციის ხარჯი	(46,868)
31.12.2018	(328,686)
ამორტიზაციის ხარჯი	(66,828)
31.12.2019	(395,514)
საბალანსო ღირებულება	
31.12.2018	311,517
31.12.2019	624,502

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. აქტივების გამოყენების უფლება

ბანკს იჯარით აღებული აქვს ფართები ბანკის მომსახურების ცენტრებისთვის და ადმინისტრაციული ოფისისთვის. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში.

აშშ დოლარსა და ლარში გამოხატული იჯარების ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, შესაბამისად, შეადგენდა 4.40%-სა და 7.25%-13.00%-ს.

აქტივის გამოყენების უფლების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქტივების გამოყენების უფლება

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	430,106
შემოსვლა	205,407
ამორტიზაცია	(137,559)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	497,954

საიჯარო ვალდებულება

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	430,106
შემენა	205,407
საპროცენტო ხარჯი	20,602
გადახდა	(227,947)
უცხოური ვალუტის მოძრაობა	21,741
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	449,909

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმარტებული მინიმალური საიჯარო გადასახდელებისა და ფასს 16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებული საიჯარო ვალდებულების რეკონსილაციას.

მინიმალური საიჯარო გადასახადი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	557,536
გამოკლებული: ზღვრული საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების ეფექტი საწყისი აღირებისას	(127,430)
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	430,106

დამატებითი ხარისხობრივი ინფორმაცია საიჯარო ვალდებულების შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	სხვა	სულ
01.01.2018	2,297,063	1,036,318	993,158	697,907	323,202	5,347,648
შემოსვლა	644,851	-	243,277	147,052	45,714	1,080,894
გასვლა	(156,557)	-	-	(1,310)	-	(157,867)
31.12.2018	2,785,357	1,036,318	1,236,435	843,649	368,916	6,270,675
შემოსვლა	-	370,088	169,269	44,789	97,126	681,272
გასვლა	-	-	-	(6,882)	-	(6,882)
31.12.2019	2,785,357	1,406,406	1,405,704	881,556	466,042	6,945,065
დაგროვილი ცვეთა						
01.01.2018	(49,638)	(591,957)	(486,226)	(607,114)	(72,284)	(1,807,219)
ცვეთის ხარჯი	(37,286)	(135,206)	(152,920)	(52,508)	(47,194)	(425,114)
გასვლა	-	-	-	589	-	589
31.12.2018	(86,924)	(727,163)	(639,146)	(659,033)	(119,478)	(2,231,744)
ცვეთის ხარჯი	(41,518)	(124,330)	(156,000)	(76,295)	(52,066)	(450,209)
გასვლა	-	-	-	6,446	-	6,446
31.12.2019	(128,442)	(851,493)	(795,146)	(728,882)	(171,544)	(2,675,507)
საბალანსო ღირებულება						
31.12.2018	2,698,433	309,155	597,289	184,616	249,438	4,038,931
31.12.2019	2,656,915	554,913	610,558	152,674	294,498	4,269,558

14. ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ

ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ ძირითადად შედგება სს ზირაათ ბანკი აზერბაიჯანის დეპოზიტებისგან. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ წარმოდგენილია 2,200,857 ლარის ღირებულებით (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,023,209 ლარის ღირებულებით).

ხარისხობრივი ინფორმაცია ვალდებულებებზე საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

15. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

ვალდებულებები კლიენტების მიმართ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე ანგარიშები	38,363,834	48,626,923
დეპოზიტები	32,464,725	10,936,826
	70,828,559	59,563,749
გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა (შენიშვნა 22)	1,738,375	1,477,749

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებები კლიენტების მიმართ 39,771,264 (56%) ლარის ოდენობით ათ უმსხვილეს მენაზრებზე (2018 წლის 31 დეკემბერი: 37,517,822 (63%) ლარი) მოდიოდა.

კლიენტების მიმართ ვალდებულებები მოიცავს ანგარიშებს კლიენტების შემდეგ ტიპებთან:

	31.12.2019	31.12.2018
იურიდიული პირები	56,424,021	50,349,820
ფიზიკური პირები	14,404,538	9,213,929
	70,828,559	59,563,749

კლიენტების მიმართ ვალდებულებები ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

	31.12.2019		31.12.2018	
	თანხა	%	თანხა	%
მშენებლობა	27,100,152	38%	29,996,198	50%
ვაჭრობა	22,935,040	32%	12,303,921	21%
ფიზიკური პირები	14,950,358	21%	9,213,926	15%
სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის სფერო	3,582,435	5%	4,177,316	7%
სხვა	2,260,574	3%	3,872,388	7%
	70,828,559	100%	59,563,749	100%

კლიენტების მიმართ ვალდებულებების შესახებ ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

16. მფლობელთა კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 50,000,000 ჰვეულებრივი აქციისგან. აქედან გამოშვებული და განაღდებული იყო სრულად 50,000,000 ჰვეულებრივი აქცია (2018 წლის 31 დეკემბერი: ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 50,000,000 ჰვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან გამოშვებული და განაღდებული იყო სრულად 50,000,000 ჰვეულებრივი აქცია). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი.

17. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საპროცენტო შემოსავალი

მომხმარებელზე გაცემული სესხები

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

2019	2018
4,231,570	2,219,838
1,799,702	1,742,708
872,075	689,094
6,903,347	4,651,640

საპროცენტო ხარჯი

ვალდებულებები იურიდიული პირების წინაშე

ვალდებულებები ფიზიკური პირების წინაშე

ვალდებულებები არა-რეზიდენტი ბანკების წინაშე

საიჯარო ვალდებულების ამორტიზაცია

ვალდებულებები რეზიდენტი ბანკების წინაშე

2019	2018
(179,584)	(120,642)
(149,905)	(31,285)
(112,020)	(60,846)
(20,602)	-
-	(5,038)
(462,111)	(217,811)

18. საკომისიო შემოსავალი, წმინდა

საკომისიო შემოსავალი, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკომისიო შემოსავალი

საკომისიოები და შემოსავლები კლიენტთა მიმდინარე ანგარიშების მიხედვით

შემოსავლები გარანტიების მიხედვით

საკომისიოები სალაროს ოპერაციებიდან

საკომისიოები ფულის ინკასაციისა და ტრანსპორტირებიდან

სხვა

2019	2018
675,572	619,068
530,752	164,262
200,896	215,087
48,000	33,360
-	88,816
1,455,220	1,120,593

საკომისიო ხარჯი

საერთაშორისო ოპერაციებთან დაკავშირებული საკომისიო ხარჯები

საკომისიოები ფულის ინკასაციისა და ტრანსპორტირებიდან

საკომისიოები სალაროს ოპერაციებიდან

ნოსტრო ანგარიშების გახსნისა და წარმოების საკომისიოები და ხარჯები

(268,477)	(434,886)
(118,500)	(99,000)
(72,448)	(77,143)
(15,680)	(18,083)
(475,105)	(629,112)

წმინდა საკომისიო შემოსავალი

980,115	491,481
----------------	----------------

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
სახელფასო ხარჯები	(2,531,443)	(2,279,997)
ცვეთა და ამორტიზაცია	(654,596)	(471,982)
ლიცენზიის და პროგრამული მხარდაჭერის ხარჯები	(294,048)	-
დაცვის ხარჯი	(161,470)	(142,771)
კომუნალური ხარჯები	(136,401)	(129,992)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები *	(100,874)	(200,743)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(89,150)	(73,243)
ქონების დაზღვევის ხარჯები	(68,948)	(69,875)
კომუნიკაციის ხარჯები	(61,464)	-
საგადასახადო ხარჯები, გარდა მოგების გადასახადისა	(61,956)	(37,653)
გარიგებათა დაზღვევის ხარჯები	(18,216)	(16,217)
იჯარის ხარჯები	(10,618)	(166,248)
სხვა ხარჯები	(302,518)	(226,563)
	(4,491,702)	(3,815,284)

(*) – 2019 წლის საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები მოიცავს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯებს 6,608 ლარის ოდენობით. (2018: 14,986 ლარი)

20. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მიმდინარე მოგების გადასახადი	(223,312)	(28,166)
დროებითი სხვაობის ეფექტი	(151,500)	(128,679)
	(374,812)	(156,845)

	2019	2018
მოგება დაბეგვრამდე	4,590,041	3,144,141
მოგების გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი	(688,506)	(471,621)
მუდმივი სხვაობების ეფექტი*	313,694	314,776
	(374,812)	(156,845)

(*) - მუდმივი სხვაობის ეფექტი უმეტესწილად გამოწვეულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და საქართველოს ეროვნული ბანკის დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლების დაბეგვრის თავისებურებით, კონკრეტულად კი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და საქართველოს ეროვნული ბანკის დეპოზიტებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებზე გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

20. მოგების გადასახადის ხარჯი (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება და მისი მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დროებითი სხვაობების ეფექტი	01.01.2018	აღრიცხული მოგება/ ზარალში	31.12.2018	აღრიცხული მოგება/ ზარალში	31.12.2019
ძირითადი საშუალებები	(23,077)	(14,911)	(37,988)	(618)	(38,606)
არამატერიალური აქტივები	(7,027)	21	(7,006)	(4,480)	(11,486)
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	(51,249)	(51,249)	(122,302)	(173,551)
გაცემული გარანტიების რეზერვი	(7,993)	(62,540)	(70,533)	(16,893)	(87,426)
აქტივების გამოყენების უფლება	-	-	-	(7,207)	(7,207)
საგადასახადო ვალდებულება	(38,097)	(128,679)	(166,776)	(151,500)	(318,276)
წმინდა საგადასახადო ვალდებულება	(38,097)	(128,679)	(166,776)	(151,500)	(318,276)

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85% * 15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

2019 და 2018 წლებში მოგების გადასახადის განაკვეთი, გარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგებისა, 15% იყო, გარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და საქართველოს ეროვნული ბანკის დეპოზიტებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებისა.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ბანკისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

31.12.2019	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	უმაღლესი ხელმძღვანელობა
აქტივები		
განთავსებული დეპოზიტები	10,522,776	-
გაცემული სესხები	-	42,838
ვალდებულებები		
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	2,200,857	-
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	-	15,618

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

2019	აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარე ბული კომპანიები	უმაღლესი ხელმძღვანელობა
საპროცენტო შემოსავალი	73,368	-	6,121
უმაღლესი ხელმძღვანელობის სარგებელი	-	-	(497,620)
საპროცენტო ხარჯი	(79,633)	(59,000)	-
საგარანტიო ხარჯი	(12,523)	-	-

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

31.12.2018	აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	უმაღლესი ხელმძღვანე ლობა
აქტივები			
განთავსებული დეპოზიტები	14,453,640	-	-
მიმდინარე ანგარიშები	588,881	-	-
გაცემული სესხები	-	-	105,142
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	-	2,023,209	-
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	-	-	38,772

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

2018	აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარე ბული კომპანიები	უმაღლესი ხელმძღვანე ლობა
საპროცენტო შემოსავალი	78,692	-	8,029
უმაღლესი ხელმძღვანელობის სარგებელი	-	-	(868,286)
საპროცენტო ხარჯი	(45,562)	(30,701)	-
საგარანტიო ხარჯი	(11,211)	-	-

22. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

იურიდიული საკითხები

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობა იყენებს შიდა და გარე პროფესიონალების კონსულტაციებს და მიიჩნევს, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, ბანკის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ბანკს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ბანკის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

მმართველობის ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) ბანკს აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, კომპანიას არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები

ამ ინსტრუმენტების მთავარი მიზანია მოთხოვნებისთანვე კლიენტებისთვის სახსრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს უპირობო გარანტიას, რომ ბანკი გადაიხდის თანხებს იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს მესამე მხარეების მიმართ თავის ვალდებულებებს. გარანტიებს ისეთივე საკრედიტო რისკი აქვთ, რაც კრედიტებს.

კრედიტის უზრუნველყოფის ვალდებულებები წარმოადგენს კრედიტის უზრუნველყოფის ნებართვის გამოუყენებელ ნაწილებს კრედიტების ან გარანტიების სახით. კრედიტის უზრუნველყოფის ვალდებულებების საკრედიტო რისკთან დაკავშირებით, ბანკი პოტენციურად იმყოფება იმ მოცულობით ზარალის რისკის წინაშე, რომელიც მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებების ტოლია. თუმცა, ზარალის სავარაუდო მოცულობა გამოუყენებელ ვალდებულებებზე ნაკლებია რადგან კრედიტის უზრუნველყოფის უმეტესი ვალდებულებები დამოკიდებულია კლიენტებზე, რომლებიც ინარჩუნებენ კონკრეტულ საკრედიტო სტანდარტებს. ბანკი აკონტროლებს კრედიტის დაფარვის ვადასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რადგან გრძელვადიან ვალდებულებებს ზოგადად უფრო მეტი ხარისხის საკრედიტო რისკი აქვს, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

22. პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

	31.12.2019	31.12.2018
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები		
გარანტიები	30,600,269	26,654,600
აუთვისებელი საკრედიტო ხაზის ვალდებულება	1,830,379	361,750
	32,430,648	27,016,350
საოპერაციო იჯარის ვალდებულებები		
არაუგვიანეს 1 წლისა	-	169,359
1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა	-	388,177
5 წელზე გვიან	-	-
	-	557,536
პირობითი ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვეყნებამდე)	32,430,648	27,573,886
გამოკლებული – გამოშვებული გარანტიების უზრუნველყოფად განკუთვნილი ნაღდი ფული (15 შენიშვნა)	1,738,375	1,477,749
პირობითი ვალდებულებები	30,692,273	26,096,137

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები ეკონომიკურ საქმიანობებზე მრავალ სექტორში.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალსა ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამინებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა ბანკის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია, თუმცა პანდემიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლო ეფექტი შეიძლება იყოს შემდეგი:

- გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის ზრდა მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის გაუარესებისა და სესხების უზრუნველყოფაში ჩადებული აქტივების რეალიზაციიდან მოსალოდნელი წმინდა ფულადი ნაკადების შემცირების გამო.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო შემდეგი ზომები: საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით ბანკებს დაევალიათ სტრეს-ტესტების ჩატარება ჰორიზონტალური და უძრავი ქონების სექტორებზე გაცემულ სესხებზე. ტესტის შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ბანკმა უნდა გაზარდოს სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვი და აღნიშნული მაჩვენებელი საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში შეინარჩუნოს საქართველოს ეროვნული ბანკის შემდგომ მითითებამდე. ასევე, აღნიშნული რეზერვი უნდა აისახოს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენილ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, რომელიც გავლენას მოახდენს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტზე.

24. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ბანკი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრიდან. ბანკმა არ შეასწორა შესაძარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესაძარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადანაგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტზე გადასვლა არ გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) საკუთარი კაპიტალის საწყის ნაშთში. ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 – „იჯარა“ და ფასიკ 4 – „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა კომპონენტი იჯარას“. ფასს 16-ის შესაბამისად მიღებული იჯარა აღიარდება, როგორც აქტივი და ვალდებულება. ფასს 16 ითვალისწინებს გამარტივებულ მიდგომას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან რომელიც უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას. გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან. ბანკს არ აქვს მნიშვნელოვანი საიჯარო საქმიანობა, როგორც მიიჯარეს.

გადასვლის მეთოდი და გამოყენებული გათავისუფლება

ბანკმა გამოიყენა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა: სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არ ევალება იმის ხელახლა შეფასება, ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა საიჯარო ხელშეკრულებას, ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის „იჯარა“ და ფასიკ 4-ის „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ შესაბამისად კლასიფიცირებული არ ჰქონდა, როგორც იჯარის შემცველი ხელშეკრულება, არ მოხდა ფასს 16-ის გამოყენება. ფასს 16-ის მიხედვით იჯარის იდენტიფიკაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც დაიწყო ან ცვლილება შევიდა 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

ფასს 16-ით დაშვებულია გათავისუფლებები, რომელთა ნაწილი ეხება სტანდარტის პირველადი გამოყენების შემთხვევას. ადრე, ბასს 17-ით საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარის მიმართ ბანკმა გამოიყენა ფასს 16-ის შემდეგი გათავისუფლებები:

ა) არ გაითვალისწინა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივის გამოყენების უფლების შეფასებაში, იმ იჯარებისთვის, რომლებისთვისაც აქტივების გამოყენების უფლება იყო განსაზღვრული ისე, როგორც განსაზღვრა მოხდებოდა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფასს 16-ის გამოყენების შემთხვევაში;

ბ) არ აღიარა აქტივების გამოყენების უფლება იმ იჯარებთან მიმართებაში, რომლის იჯარის ვადა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში იწურება. ამგვარი იჯარები მოკლევადიანი იჯარების მსგავსად აღიარდება.

როგორც მოიჯარე, ბანკი ძველ პერიოდებში აკლასიფიცირებდა იჯარას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, იმის მიხედვით ხდებოდა თუ არა საიჯარო აქტივთან დაკავშირებული არსებითი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ფასს 16-ის მიხედვით, ბანკი უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას.

სს ზირაათ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

24. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს 16-ის დანერგვის შედეგად ბანკმა აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება აღიარა შემდეგნაირად:

კლასიფიკაცია ბასს 17-ით	აქტივების გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულება
საოპერაციო იჯარა	ბანკის მომსახურების ცენტრებისა და ადმინისტრაციული ოფისისთვის საჭირო ფართის იჯარებისთვის: აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხული ვალდებულებით.	აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრული სასესხო განაკვეთი მომსახურების ცენტრებისა და ადმინისტრაციული ოფისისთვის საჭირო ფართების შემთხვევაში მერყეობს 4.40%-13.00% განაკვეთების ფარგლებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ის არეები, რომელზეც გავლენა იქონია ფასს-16-ის დანერგვამ:

	31 დეკემბერი 2018	ფასს 16	1 იანვარი 2019
აქტივები			
აქტივების გამოყენების უფლება (ა)	-	430,106	430,106
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები (ბ)	-	430,106	430,106
(ა) აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება არის წინა პერიოდში საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული ხელშეკრულებების ეფექტი.			
(ბ) საიჯარო ვალდებულებების კორექტირება არის წინა პერიოდში საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული ხელშეკრულებების ეფექტი.			

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმარტებული მინიმალური საიჯარო გადასახდელებისა და ფასს 16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებული საიჯარო ვალდებულების რეკონსილაციას.

	1 იანვარი 2019
მინიმალური საიჯარო გადასახდელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	557,536
გამოკლებული: თავდაპირველი აღიარებისას ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით ამორტიზების ეფექტი	(127,430)
საიჯარო ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	430,106

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

25.1 შეფასების და წარსადგენი ვალუტა

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ბანკი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ბანკის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი“.

უცხოურ ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2018 1 იანვრისთვის	2.5922	3.1044

25.2 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ერთ-ერთ კატეგორიაში შემდეგი სამი კატეგორიიდან:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით
- რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ამ ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ბანკმა ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ბანკი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით მოთხოვნებს საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ აქტივებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს (SPPI);

ბიზნესმოდელის შეფასება

ბანკი თავის ბიზნესმოდელს იმ დონეზე განსაზღვრავს, რომ საუკეთესოდ ასახავს იმას, თუ როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფებს თავისი ბიზნესამოცანების მისაღწევად. ბანკის ბიზნესმოდელი თითოეული ინსტრუმენტისთვის კი არ ფასდება, არამედ უფრო მაღალ, აგრეგირებული პორტფელების, დონეზე და ეყრდნობა ისეთ დაკვირვებად (ემპირიულ) ფაქტორებს, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში არსებული ფინანსური აქტივების შეფასება და ანგარიშგება საწარმოს ხელმძღვანელობის ზედა რგოლისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებს ბიზნესმოდელის ეფექტურობაზე (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში არსებულ ფინანსურ აქტივებზე) და, კერძოდ, როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება ეყრდნობა თუ არა მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ან ამოღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- ბანკის შეფასების მნიშვნელოვანი ასპექტებია ასევე გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ოდენობა და დრო.

ბიზნესმოდელის შეფასება ეყრდნობა გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადების რეალიზაცია ბანკის თავდაპირველი მოლოდინისგან განსხვავებულად ხდება, ბანკი ამ ბიზნესმოდელის დანარჩენი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას კი არ ცვლის, არამედ ამ ინფორმაციას ითვალისწინებს მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების ეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის პროცესის მეორე საფეხურზე ბანკი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ მოხდა ძირითადი თანხის დაფარვა ან პრემიის/დისკონტის ამორტიზაცია).

პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები საკრედიტო ხელშეკრულებებში, როგორც წესი, არის ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება და საკრედიტო რისკი. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად ბანკი ეყრდნობა განსჯას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორებიცაა ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

რეკლასიფიკაცია

ფინანსური ინსტრუმენტები რეკლასიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანობაში იცვლება. რეკლასიფიკაციას აქვს სამომავლო ეფექტი და იწყება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდეგ. ბანკმა არ შეცვალა თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდში და არ განახორციელა არანაირი რეკლასიფიკაცია.

გაუფასურება

საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-თვის (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ბანკი, საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე, აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ECL ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და რისკებისთვის, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებიდან. ბანკი აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით, (ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯებისა ან ძალისხმევის გარეშე, თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გასული მოვლენების, არსებული პირობების და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ.

ბანკი იყენებს გაუფასურების სამ საფეხურიან მოდელს, რომელიც ეფუძნება კრედიტის ხარისხის ცვლილებებს თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

საფეხური 1: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული (საკრედიტო თვალსაზრისით) თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია 1 საფეხურზე. ფინანსურ აქტივებს 1 საფეხურზე გააჩნიათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL), რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადის იმ ნაწილის ტოლი მოცულობით, რომელიც მიიღება დეფოლტის მოვლენებიდან, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვის ვადამდე, თუ აღნიშნული ვადა უფრო მოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“).

საფეხური 2: თუ ბანკი დაადგენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას (“SICR”) თავდაპირველი აღიარებიდან, აქტივი გადავა 2 საფეხურზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) შეფასდება ECL-ს მოქმედების ვადის (არსებობის) საფუძველზე (“ECL მოქმედების/არსებობის ვადა”). იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (“SICR”) აღარ აღინიშნება, ინსტრუმენტი გადავა უკან 1-ელ საფეხურზე.

საფეხური 3: საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივები გადადის მე-3 საფეხურზე და აღიარებულია ECL მოქმედების /არსებობის ვადის რეზერვი. ბანკის მიერ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივებისა და დეფოლტის განსაზღვრება ეფუძნება ერთი ან მეტი ზარალის შემთხვევის დადგომას, რომელიც აღწერილია მე-4 შენიშვნაში.

მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (ECL) ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისი რეზერვით, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფინანსურ გარანტიებთან დაკავშირებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილია, როგორც ვალდებულება ვალდებულებების და ხარჯების რეზერვებში.

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

აღიარების გაუმჯობესება და მოდიფიკაცია

ბანკი აუქმებს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) ბანკმა გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები ან შევიდა საკვალიფიკაციო გამტარ გარიგებაში, რომლის დროსაც (i) ასევე განახორციელა აქტივების მფლობელობით გამოწვეული არსებითად ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ან (ii) არ განახორციელა მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, გარდა კონტროლის უფლების შენარჩუნებისა. კონტროლის უფლების შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიიღოს აქტივი მთლიანად კავშირში არ მყოფ მესამე მხარეს გაყიდვებზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე. .

ბანკი პერიოდულად გადახედავს ან სხვაგვარად ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირებას. ბანკი აფასებს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არსებითი, შემდეგი (და არა მხოლოდ) ფაქტორების გათვალისწინებით: საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების ცვლილებების გამო, ცვლილება სავალუტო დენომინაციაში; ორი ან მეტი სესხის გაერთიანება ერთ სესხში; კონტრაგენტის ცვლილება; განრიგის არმქონე სესხი შეიცვალა განრიგის სესხით და პირიქით.

ქვემოთ მოცემული შიდა ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, არსებობს რამდენიმე კონკრეტული ხარისხობრივი ფაქტორი, რომელიც იწვევს აქტივის აღიარების შეწყვეტას შემდგომი რაოდენობრივი ტესტირების ჩატარების საჭიროების გარეშე. ხარისხობრივი კრიტერიუმები წარმოდგენილია ქვემოთ ჩამონათვალში:

- სახელშეკრულებო ვალუტის შეცვლა;
- ორი ან მეტი სესხის ერთ სესხში გაერთიანება;
- კონტრაგენტის შეცვლა;
- განრიგის არმქონე სესხის შეიცვალა განრიგის სესხით და პირიქით;
- საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების ცვლილებების გამო;

ბანკი ადარებს თავდაპირველ და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან იმის დასადგენად არის თუ არა აქტივის რისკი და სარგებელი არსებითად განსხვავებული სახელშეკრულებო მოდიფიკაციების შედეგად. უნდა შეფასდეს არის თუ არა ცვლილება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში მნიშვნელოვანი (მნიშვნელობა განისაზღვრება 10% ცვლილებით).

თუ ტესტის შედეგები აღემატება 10%-იან ზღვარს, სესხის აღიარება უნდა შეწყდეს, ვინაიდან თუ ტესტი ჩატარდა და შედეგი ტოლია ან ნაკლებია 10%-ზე, ფინანსური აქტივი შეიძლება შეფასდეს, როგორც მოდიფიცირებული.

თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი არსებითად (10% ტესტი) არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიკაცია არ განაპირობებს აღიარების შეწყვეტას. ბანკი ხელახლა გამოთვლის საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ან შესაბამის შემთხვევაში კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და აღიარებს მოდიფიცირების მოგებას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება ნებისმიერი გაწეული ხარჯის ან გადახდილი მოსაკრებელის გათვალისწინებით, რომლებიც ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის მოქმედების დანარჩენ ვადაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ბანკი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთობა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ბანკი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ბანკს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს: ვალდებულებებს საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ, ვალდებულებებს კლიენტების მიმართ, საიჯარო ვალდებულებებს და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

25.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირდება არსებულ ვალუტებს შორის და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში ფულადი სახსრების ნაშთს, საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) მისაღებ სახსრებს სავალდებულო რეზერვების გამოკლებით, რომლებიც თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისგან. სამ თვეზე მეტი პერიოდით დაბანდებული სახსრები არ შედის ფულსა და ფულის ეკვივალენტებში.

25.4 სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში.

სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად და ამიტომ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, არ ითვლება ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაწილად.

25.5 საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ბიზნეს-მოდელის და ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე. ბანკი ახდენს ინვესტიციების კლასიფიკაციას სავალო ფასიან ქაღალდებში, როგორც შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, FVOCI-ით ან FVTPL-ით. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობილია სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI, და თუ ისინი ნებაყოფლობით არ არის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL) სააღრიცხვო შეუსაბამობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით. ბანკი ფლობს მხოლოდ ისეთ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, რომლის ფლობასაც ბანკი დროის გარკვეული პერიოდით აპირებს და რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

25.6 ფინანსური გარანტიები

ფინანსური გარანტიები მოითხოვს, ბანკმა განახორციელოს კონკრეტული გადახდები გარანტიის მფლობელისთვის იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მიაღდა მას იმის გამო, რომ კონკრეტულმა მოვალემ არ განახორციელა გადახდები სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიო თანხებით. ეს თანხა ამორტიზდება გარანტიის პერიოდში წრფივი მეთოდით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აღნიშნული გარანტიები ფასდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესით: (i) ზარალის რეზერვის თანხა, მოსალოდნელი ზარალის მოდელის საფუძველზე განსაზღვრული გარანტირებული რისკისთვის, და (ii) არამორტიზირებული ნაშთი თავდაპირველი აღიარებისას.

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

25.7 გადასახადით დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული საგადასახადო ხარჯების ჯამს. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო თანხებს შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად ამოქმედებული იყო ანგარიშგების დღეს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

25.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

მიწა არ იცვითება. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობები	50
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	4
ავტო	6
იჯარით აღებული ქონების კეთლმოწყობა	5
სხვა	4-5

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. ჩამოწერის შედეგი აღიარდება მოგება - ზარალში.

25.9 არამატერიალური აქტივები

ბანკის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შეცვლა საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

25.10 ვალდებულებების საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ

საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ დავალიანებები წარმოიქმნება, როცა ფული ან სხვა აქტივები გადაეცემა ბანკს სხვა ბანკების მიერ. ვალდებულება წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებას და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

25.11 კლიენტის ანგარიშები

კლიენტის ანგარიშები არის ფიზიკური პირების ან კორპორატიული კლიენტების მიმართ არაწარმოებული ვალდებულებები და აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

25.12 სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები გასათვალისწინებელი დივიდენდებით კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯი, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ახალი აქციების გამოშვებას ნაჩვენებია კაპიტალში როგორც შემოსავალიდან დაქვითვა, გადასახადის გარეშე.

25.13 დივიდენდები

დივიდენდები დაფიქსირებულია კაპიტალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადებულია. საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისა და ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნები.

25.14 შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

ბანკი გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს სავალო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ფინანსური აქტივების (გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა) საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდილი და მიღებული ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ვადაზე ან, როცა შესაძლებელია, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აღირიცხება საპროცენტო შემოსავლად ან ხარჯად.

როდესაც ფინანსური აქტივი უფასურდება, ბანკი გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდა და აღარ არის გაუფასურებული, მაშინ ბანკი უბრუნდება საპროცენტო შემოსავლის გამოთვლას ბრუტო საფუძველზე.

შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ბანკი საპროცენტო შემოსავალს გამოითვლის საკრედიტო რისკის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიღებით და ამ განაკვეთის გამოყენებით აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. საკრედიტო რისკის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც, თავდაპირველი აღიარებისას, ახდენს მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) დისკონტირებას შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

საკომისიო შემოსავლები

ბანკი იღებს საკომისიო შემოსავლებს მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. საკომისიო შემოსავალი შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

- დროთა განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული საკომისიო შემოსავალი

დროთა განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული შემოსავალი დაირიცხება პერიოდის განმავლობაში, შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისთანავე.

- დროის გარკვეულ მომენტში მიღებული საკომისიო შემოსავალი

ანგარიშსწორების, ფულადი გზავნილების, ქვითრების გადახდების და საკასო ოპერაციებიდან მიღებული საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულებისთანავე. თითოეული ოპერაცია აღირიცხება, როგორც ცალკე შესასრულებელი სახელშეკრულებო მოვალეობა.

25.15 პირობითი აქტივები და ვალდებულებები, ანარიცხები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ბანკიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ბანკში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ბანკში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ბანკში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

25.16 იჯარა

ბანკი როგორც მოიჯარე

ბანკი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. ბანკმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ბანკმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ბანკმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ბანკი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

25. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ბანკის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის უნდა მოიცავდეს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ბანკმა აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით უნდა შეაფასოს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ცვეთა უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ბანკმა ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში.

როცა ბანკი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია უნდა აისახოს, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ აისახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ბანკი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ბანკი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ბანკი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ბანკმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

25.17 პერსონალის ხარჯი

ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, ასევე, თანხა გადახდილი წილობრივ ინსტრუმენტზე დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები ბანკის თანამშრომლების მიერ.

25.18 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ბანკის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსური ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“
მმართველობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება.....	1
1. შესავალი.....	2
2. მმართველობის ანგარიშგების მიზანი და შინაარსი	2
3. მომზადების საფუძველი.....	2
4. საქმიანობის მიმოხილვა.....	2
5. ბანკის ჯგუფის სტრუქტურა.....	3
6. სუბიექტის განვითარების გეგმები	4
7. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	6
8. კაპიტალის მართვა.....	8
9. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	8
10. საკუთარი აქციების გამოსყიდვა.....	8
11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები	8
12. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	24
13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები.....	27

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

სააქციო საზოგადოება ზირაათ ბანკი საქართველოს აქციონერებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 5 მაისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

30 სექტემბერი 2020

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

“ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

სააქციო საზოგადოება ზირაათ ზანკი საქართველოს აქციონერებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 5 მაისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჯუღუშაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

30 სექტემბერი 2020

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დაინტერესებულ პირებს გააცნოს და მიაწოდოს ინფორმაცია სს ზირაათ ბანკის („ბანკი“) საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბანკის საქმიანობის მიმოხილვას. მმართველობის ანგარიშგება შეგიძლიათ იხილოთ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე: saras.gov.ge.

2. მმართველობის ანგარიშგების მიზანი და შინაარსი

მმართველობის ანგარიშგების მიზანია, დაინტერესებულ პირებს სუბიექტის საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება მისცეს, რათა მათ შეძლონ სუბიექტის სამომავლო პესრსპექტივების და ძირითადი რისკების შეფასება, ასევე შეაფასონ რამდენად წარმატებულად ასრულებს სუბიექტი დასახულ მიზნებს.

3. მომზადების საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ყველა რაოდენობრივი მაჩვენებელი აღრიცხულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4. საქმიანობის მიმოხილვა

თურქეთის ზირაათ ბანკი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და უძველესი ბანკი თურქეთში, რომლის კაპიტალის 100% თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებაა. მან მოიპოვა წამყვანი ბანკის სტატუსი, რომელმაც ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია საუკუნის განმავლობაში დაგროვებული ცოდნით და მისი მომსახურების ხარისხისა და ცოდნის საფუძველზე შექმნა დამატებითი ღირებულება საზოგადოებისთვის. სხვა ქვეყნებთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, ზირაათ ბანკმა გახსნა არაერთი ფილიალი და შვილობილი ბანკი მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ვაჭრობის სფეროში თურქეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა და საქართველოში მოღვაწე თურქი ბიზნესმენებისთვის საბანკო მომსახურების გაწევის საჭიროება გახდა საფუძველი იმისა, რომ 1998 წელს თბილისში გახსნილიყო სს ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი, რომელსაც 2013 წელს შეემატა ბათუმის სერვის-ცენტრი, 2016 წელს მარნეულის სერვის-ცენტრი, 2018 წელს წერეთლის სერვის-ცენტრი, ხოლო 2019 წელს ქუთაისის სერვის-ცენტრი. 2017 წლის 1 მაისიდან სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ ოპერირებს, როგორც შვილობილი (სუბსიდიარი) ბანკი. ბანკის საშუალო დასაქმებულთა რაოდენობა 2019 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

უმაღლესი ხელმძღვანელობა - 3; შუა რგოლის ხელმძღვანელობა -13, სხვა თანამშრომლები -28.

5. ბანკის ჯგუფის სტრუქტურა

სს თურქეთის ქონების მართვის ფონდი

- სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ინსტიტუტი (100% სახელმწიფოს კუთვნილება).

თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკი

- 100% ეკუთვნის სს თურქეთის ქონების მართვის ფონდს

სს ზირაათ ბანკი საქართველო

- 100% ეკუთვნის თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკს

სს თურქეთის ქონების მართვის ფონდი

თურქეთის ქონების მართვის ფონდის შექმნის მიზანია განავითაროს და გაზარდოს თურქეთის სტრატეგიული ობიექტების ღირებულება და შესაბამისად, უზრუნველყოს თურქეთის საინვესტიციო ბაზარზე რესურსების მოზიდვა (<http://turkiyevarikfonu.com>)

დამფუძნებელი	კუთვნილი წილი %	მისამართი	საქმიანობის სფერო	აქციონერი
სს თურქეთის ქონების მართვის ფონდი	100%	ანკარა	ქონების ფონდის მართვა	სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ინსტიტუტი (სახელმწიფოს კუთვნილება)

2018 წლის სექტემბრიდან, თურქეთის ქონების მართვის ფონდი, რომელიც 100% სახელმწიფოს კუთვნილება და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ინსტიტუტია, თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკის 100% წილის მფლობელია.

დამფუძნებელი	კუთვნილი წილი %	სათაო ოფისის მისამართი	საქმიანობის სფერო
თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკი	100%	დოღანბეი, ათათურქის ბულვარი, N 8. ულუს, ანკარა	საბანკო საქმიანობა Banking activity ID: 1148-48/7 რეგისტრაციის თარიღი : 12/06/1937

5. ბანკის ჯგუფის სტრუქტურა (გაგრძელება)

სს ზირაათ ბანკი საქართველოს აქციონერთა კრებას წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

სს “ზირაათ ბანკი საქართველო”-ს ხედვაა, იყოს ბანკი, რომელიც არის სანდო და ხელმისაწვდომი როგორც საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოში, რომელიც თითოეულ მომხმარებელს სთავაზობს ხარისხიან მომსახურებას, რომლისთვისაც მომხმარებელი და ადამიანური რესურსები წარმოადგენს ყველაზე ღირებულ აქტივს, ორგანიზაცია, რომელიც თავისი ძირძველი და მდიდარი ისტორიის გათვალისწინებით, მუდმივად ქმნის განსხვავებულ ფასეულობას და ამავე დროს კონკურენტებისათვის სამაგალითო ბანკია.

მშობელი ბანკის ხედვისა და მისიის გათვალისწინებით, ბანკის ხედვაა იყოს უნივერსალური, მაღალი საბაზრო ღირებულების მქონე ბანკი.

6. სუბიექტის განვითარების გეგმები

ბანკის მთავარი მიზანია დივერსიფიცირებული პროდუქტი შესთავაზოს როგორც კერძო ასევე სახელმწიფო სექტორს, მათი განვითარების სიმძლავრისა და კაპიტალის გათვალისწინებით, მაგრამ პირველი ხუთი წლის განმავლობაში ბანკის ძირითადი მიზანია არა მხოლოდ მოგების მაქსიმალურად გაზრდა, არამედ საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ამოღება და ჯანსაღი ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნება.

კაპიტალის ზრდისა და ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, ბანკი უფრო მეტ ინვესტიციას განახორციელებს ქართულ ეკონომიკაში და გაზრდილი რესურსების საშუალებით შეძლებს დააკმაყოფილოს მომხმარებელთა დაჩქარებული მოთხოვნები.

გარდა ამისა, სახელმწიფო და ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები ბანკებს საშუალებას აძლევს მართონ ვადიანობის ნაპრალი შესაბამისი ვადიანი ინსტრუმენტების განთავსებით 3 თვიდან 10 წლამდე პერიოდის მიხედვით.

კორპორატიულ დაკრედიტებაში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, მომავალში ბანკი იურიდიული პირებისთვის ასევე განახორციელებს ინვესტირებას კომერციულ დაკრედიტებაში და შესთავაზებს მომხმარებელს კონკურენტულ საპროცენტო განაკვეთს არსებულ საბაზრო სიტუაციაში.

რისკის მართვის სტრატეგიის ფარგლებში აქტივების ფორმირებისას, ბანკი შეეცდება შეინარჩუნოს ლიკვიდურობის საკმარისი დონე, მართოს აქტივები და ვალდებულებები, უზრუნველყოფს დივერსიფიკაციის დონე ინდუსტრიის და კლიენტების მოთხოვნების შესაბამისად.

უპირველეს ყოვლისა, ბანკი ხელსაყრელი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით, გაიმყარებს ბაზარზე არსებულ პოზიციას და კონკურენციას გაუწევს საქართველოში არსებულ სხვა ბანკებს.

6. სუბიექტის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

საბაზო კაპიტალის ზრდასთან ერთად, ახალი კლიენტების სახსრების მოზიდვის გზით, ბანკი გაზრდის მატერიალურ ბაზასაც, საპროცენტო განაკვეთსა და ვადიან დეპოზიტებზე მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზება, ხელს შეუწყობს ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშებზე თანხების ზრდის სტიმულირებას.

ბანკი მონაწილეობას მიიღებს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ქსელის ეფექტურობის განვითარებაში, რითაც გააძლიერებს თავის პოზიციას საქართველოს ფინანსურ ბაზარზე.

ბანკი მიზნად ისახავს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებას, თითოეულ კლიენტთან ინდივიდუალური მიდგომითა და სტანდარტული ტექნოლოგიების შერწყმით. ამგვარი სუბიექტური მიდგომა თითოეული მომხმარებლის მიმართ წარმოქმნის სტაბილურობის განცდას რაც არის საწინდარი უაღრესად ერთგულ მომხმარებელთა ბაზის ჩამოყალიბებისა.

ბანკი მიზნად ისახავს კიდევ უფრო გააფართოვოს მომხმარებელთა ბაზა, შესთავაზოს მათ პროდუქტების გაუმჯობესებული ასორტიმენტი და უზრუნველყოს მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობა.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში ბანკი მიზნად ისახავს სწრაფი და სტაბილური ზრდის მიღწევას, რომელიც ძირითადად გამოხატული იქნება საკრედიტო პორტფელის გაზრდითა და ქსელის გაფართოებით, მხედველობაში მიღებული იქნება ზრდასთან დაკავშირებული რისკები.

ბანკის სტრატეგიული მიზნები მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადად ფოკუსირდება მაღალი ხარისხის აქტივებზე, ახალი პროდუქტებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებაზე. გონივრული საბანკო პრაქტიკის დაცვასა და რისკის მართვის პერსპექტივების გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით 2019 წელს ბანკი განაგრძობს მუშაობას ვიზა და მასტერქარდ საბარათე სისტემების დანერგვაზე, პარალელურად შპს „ალტა სოფტვერთან“ -თან ერთად ბანკმა წარმატებით დანერგა ინეტრენტ ბანკინგი, და ასევე მიმდინარეობს კომუნალური გადასახადების დანერგვის სატესტო პროცესები.

ეკონომიკაში კრიზისის შედეგად გამოწვეული დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ბანკი ინვესტირებას განახორციელებს სხვადასხვა სექტორსა და მრეწველობაში, ამიტომ დივერსიფიცირებული სექტორის დაფინანსება, ბანკს საშუალებას მისცემს მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური შესაძლო დანაკარგით. აგრეთვე თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან იმპორტ/ექსპორტის მონაცემების გათვალისწინებით, ბანკი დააფინანსებს სხვადასხვა იმპორტიორ ან ექსპორტიორ კლიენტებს მათი ფინანსური მდგომარეობისა და განცხადების სათანადო ანალიზის საფუძველზე.

6. სუბიექტის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

შემდგომი სტრატეგიული მიზანი წარმოადგენს ქართული ფინანსური ბაზრისათვის შესაბამისი ახალი პროდუქტების განვითარებას. ამჟამად ბაზარზე საკმაოდ მცირე ფინანსური ინსტრუმენტები არის ხელმისაწვდომი, მაგრამ ფორვარდებისა და სვოპის განვითარებით, ბანკი საშუალებას მისცემს კლიენტებს განათავსონ თავიანთი სახსრები ან გამოიყენონ მრავალფეროვანი პროდუქტები და მიიღონ მაღალი შემოსავალი ნაკლები რისკის ფასად. აქედან გამომდინარე, მრავალმხრივი პროდუქტების შეთავაზებით, ბანკი თავად უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მოპოვებას.

ბანკს სჭირდება სათანადო ტექნიკური ბაზა, რათა დივერსიფიცირებული პროდუქტი არა მარტო შესთავაზოს მომხმარებელს, არამედ შეინარჩუნოს მისი ფინანსური მდგომარეობა და მოამზადოს ანგარიშგება, რომელიც საშუალებას მისცემს ხელმძღვანელობას შეისწავლოს ოპერაციული და ფინანსური ინვესტიციების ხარისხი. ამისათვის, ბანკი აგრძელებს ინვესტიციის მისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

7. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ფინანსური მონაცემები შემდეგია: სს ზირაათ ბანკი საქართველოს მთლიანი აქტივები 2018 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 114,981,120 ლარს, ხოლო 2019 წლის ბოლოსათვის 131,603,926 ლარს, რაც 14,5 % -ით მეტია წინა წელთან შედარებით. ამასთანავე, ბანკის წმინდა საკრედიტო პორტფელი 44 %-ით გაიზარდა 2018 წელთან შედარებით და 2019 წელს შეადგინა 49,430,979 ლარი. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე პორტფელის (ძირის) ზრდა მოხდა 38 %-ით. აღსანიშნავია რომ პორტფელის ზრდა განპირობებულია კორპორატიული და სმე სექტორის ზრდით. სასესხო პორტფელის ხარისხი 2019 წელსაც მაღალია, კერძოდ, უმოქმედო სესხები (სტანდარტულზე დაბალი შეფასებისა და გაუფასურებული სესხები) შეადგენს მთლიანი პორტფელის 1.56%

2019 და 2018 წლებში, 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 50,000,000 ჩვეულებრივი აქციისგან. აქედან გამოშვებული და განაღდებული იყო სრულად 50,000,000 ჩვეულებრივი აქცია.

სს “ზირაათ ბანკი საქართველოს” 2019 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, წმინდა მოგება გაზრდილია 41 %-ით, 2,987,296 ლარიდან 4,215,229 ლარამდე, რაც ძირითადად გამოწვეულია საპროცენტო შემოსავლის 45% ზრდით (2018 წლის წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეადგენდა 4,433,829 ლარს, ხოლო 2019-ის, 6,441,236 ლარს).

7. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ბანკის ფინანსური მაჩვენებლების ცხრილი იხ. ქვემოთ:

მომგებიანობა	2019	2018
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	5.60%	4.46%
მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	0.37%	0.21%
საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან (ბოლო 13 თვის საშუალო)	3.67%	3.14%
წმინდა საპროცენტო მარჟა	5.22%	4.25%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	3.42%	2.86%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	7.66%	7.14%
აქტივების ხარისხი		
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	1.56%	1.39%
სშდრ / მთლიან სესხებთან	1.40%	2.02%
უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	33.65%	43.40%
უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	46.52%	38.50%
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	43.67%	85.14%

სებ-ის საზედამხედველო კოეფიციენტები

ლიკვიდობა	2019	2018
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	57.96%	64.05%
უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	82.44%	72.50%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	45.76%	46.93%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი *** ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით		
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	66,869,738	50,191,810
ფულის წმინდა გადინება (სულ)	28,947,173	20,249,648
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	231%	248%
კაპიტალის მოთხოვნები ბაზელ II/III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით		
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 8.76092663042182\%$	51.79%	54.59%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 10.850622483932\%$	51.79%	54.59%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 20.008856639802\%$	51.83%	55.86%

8. კაპიტალის მართვა

ბანკის კაპიტალის მართვის მიზანია მუდმივად უზრუნველყოს თავისი გადახდისუნარიანობა, დააკმაყოფილოს საზედამხებდევლო და შიდა კაპიტალის მოთხოვნები და შეინარჩუნოს კაპიტალის გონივრული მაჩვენებელი ბანკის ცნობილი (და, გარკვეულწილად, უცნობი) რისკებისგან დასაცავად.

ბანკის მიერ თავისი მთლიანი კაპიტალის მართვა ეყრდნობა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესს, რომელიც წარმოადგენს მისი კაპიტალის მართვის ძირითად ინსტრუმენტს. გარდა ამისა, კაპიტალის სამართავად ბანკი ასევე იყენებს აღდგენის გეგმას, რომელიც შეიცავს საზედამხებდევლო კაპიტალის კრიტიკულ ზღვრებსა და აღდგენის სტრატეგიებს.

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკი შეესაბამება ყველა მის შიდა და გარეშე განსაზღვრულ კაპიტალურ მოთხოვნებს 2019 და 2018 წლებში.

9. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2019 წელს კომპანიას არ ჰქონია კვლევისა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები.

10. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას, 2019 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები

ბანკის აქციონერს უფლება აქვს:

- მიიღოს სრული და დროული ინფორმაცია საერთო კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, აგრეთვე საკმარისი ინფორმაცია კრებაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;
- მოსთხოვოს განმარტება დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე; ასევე მოითხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც გონივრულად აუცილებელია ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. თუ მოთხოვნა განმარტების შესახებ წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, ის უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნას დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად;
- მიიღოს მონაწილეობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში, გამოთქვას აზრი განსახილველ საკითხებზე, დასვას შეკითხვები და წამოაყენოს წინადადებები;
- მიიღოს მონაწილეობა ბანკის მართვაში აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღების გზით;

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

- შეიძინოს ან/და გაასხვისოს აქციები; მიიღოს დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე;
- მოსთხოვოს განმარტება დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე;
- გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილება (კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის განმავლობაში);
- გაეცნოს ბანკის წლიურ, ნახევარწლიურ და მიმდინარე ანგარიშებს, ასევე ინფორმაციებს მნიშვნელოვანი შენაძენისა და ბანკის მმართველი ორგანოს ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ;
- მმართველი ორგანოს წევრებისაგან მიიღოს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება ბანკის მმართველი ორგანოების გასული, მიმდინარე და სამიზნე საქმიანობის, მნიშვნელოვანი აქტივების შეძენისა და გასხვისების, ასევე მისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე. უარი ინფორმაციის ან ახსნა-განმარტების მიცემაზე შეიძლება ეთქვას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ეს საზიანოა ბანკის კომერციული ინტერესებისთვის, რაც შესაბამისად უნდა იყოს დასაბუთებული;
- ბანკის ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი მესამე პირის მიმართ ბანკის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუ ბანკმა არ განახორციელა თავისი მოთხოვნა. აღნიშნული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკის აქციათა ხუთი ან მეტი პროცენტის მფლობელ აქციონერს ასევე უფლება აქვს:

- მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება; საერთო კრების მიერ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილობის შემთხვევაში, ანალოგიური მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. შემოწმებას ახორციელებს აქციონერის მიერ შერჩეული შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტი. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სპეციალურ შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ბანკი;
- მოითხოვოს, ბანკის ინტერესების შესაბამისად, რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული. თუ ბანკის დირექტორები, მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში, არ მოიწვევენ კრებას, აქციონერს შეუძლია ამ მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს;
- მოითხოვოს კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანა; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოითხოვოს აგრეთვე, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია და ანგარიში;
- მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლი ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.
- აქციონერს არა აქვს უფლება ხმა მისცეს იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მისი ანგარიშის დამტკიცებას.
- თუ აქციონერს მიაჩნია, რომ რაიმე მიზეზის გამო ირღვევა მისი, როგორც აქციონერის უფლება, ის უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად ან წერილობით მიაწოდოს აქციონერს დასაბუთებული პასუხი მის განცხადებაზე.

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ბანკის აქციონერებს აქვთ მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით გასაზღვრული სხვა უფლებები.

ჩვეულებრივ აქციონერები თავიანთ უფლებებს (ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება) ახორციელებენ საერთო კრებაზე.

საერთო კრება

- აქციონერთა საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი და რიგგარეშე. მორიგი კრება მოიწვევა წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში. რიგგარეშე კრების მოწვევაზე გადაწყვეტილებას იღებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. კრების მოწვევასთან დაკავშირებულ პროცედურებს ახორციელებენ დირექტორები. მორიგ კრებაზე განიხილება წლიური შედეგები (წლიური ანგარიში, სამეურნეო მდგომარეობის ანგარიში და წინადადება მოგების განაწილებაზე), ასევე დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. მორიგი კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება აქვს დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს.
- რიგგარეშე საერთო კრება ტარდება დირექტორების, სამეთვალყურეო საბჭოს უმრავლესობის, ან საწესდებო კაპიტალის 5 პროცენტის მფლობელ აქციონერთა მოთხოვნით. რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადასაწყვეტი საკითხის ან საკითხების ფორმულირებას, მომთხოვნის შეხედულებისამებრ, ამ საკითხის სავარაუდო გადაწყვეტის ფორმულირებასაც და, აქციონერთა შემთხვევაში, მოთხოვნის წერილობით დასაბუთებას.
- დირექტორებს არა აქვთ უფლება, უარი თქვან რიგგარეშე კრების მოწვევაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დარღვეულია მოთხოვნით მიმართვის პროცედურა, ან აქციონერებს არ გააჩნიათ კრების ჩატარების მოთხოვნისთვის საჭირო ოდენობის ხმები.
- საერთო კრება მოიწვევა ბანკის იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე ოცი დღის ვადაში ბეჭდით ორგანოში გამოცხადებით ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნით 20 დღით ადრე. საერთო კრების მოწვევა შესაძლებელია აქციონერებისათვის მისაღები სხვა ფორმითაც.
- საერთო კრების მოსაწვევში მითითებული უნდა იყოს კრების დღის წესრიგი. ბანკის აქციების არანაკლებ 1%-ის პროცენტის მფლობელებს და (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით), 1%-ზე ნაკლები წილის მფლობელებს მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით.
- სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.
- საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - საერთო კრების მოწვევის თარიღი, დრო და ადგილი;
 - კრებაზე აქციონერთა რეგისტრაციის დაწყების დრო;
 - სააღრიცხვო დღის თარიღი;
 - მითითება კრება მორიგია თუ რიგგარეშე;
 - დღის წესრიგი;
 - დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად;

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

- იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება;
- კრების დღის წესრიგთან დაკავშირებული მასალებისა თუ დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობასა და წესს;
- თუ საერთო კრებაზე უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, ასევე მონაცემებს კანდიდატების შესახებ.
- საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის 50%-ის მფლობელი მაინც. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და იმავე დღის წესრიგით, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე კაპიტალის არანაკლებ 25%-ის მფლობელისა. თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში იგივე დღის წესრიგით, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე კაპიტალის მფლობელთა რაოდენობის მიუხედავად.
- საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.
- აქციონერი საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.
- კრებაზე დასწრების უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს და მანდატებს ბანკი ინახავს კრების ოქმის შედგენიდან, სულ ცოტა, ორი თვის განმავლობაში (კრების შედეგების გასაჩივრებისას, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე).
- საერთო კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი ქართულ ან/და თურქულ ან/და ინგლისურ ენებზე და ხელმოწერილ უნდა იქნას კრების თავმჯდომარის მიერ.

საერთო კრება უფლებამოსილია:

- შეცვალოს წესდება, გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი და გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;
- მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის ან რეორგანიზაციის შესახებ;
- მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის მომატების დროს, ასევე აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების დროს;
- მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ ან, როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

- აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან ნებისმიერ დროს მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე;
 - აამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების ანგარიში;
 - გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
 - აირჩიოს აუდიტორი;
 - მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლოს პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
 - მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების აქტივების შეძენის, გასხვისების გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების), რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50%-ზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას;
 - მიიღოს გადაწყვეტილებები საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- აქციონერთა საერთო კრებაზე შესაძლებელია განხილულ იქნას ასევე ბანკისათვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხებიც.
 - საერთო კრებაზე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა, გარდა წესდების შესაბამისი მუხლის მიხედვით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისა, რომელთა მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა.
 - საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი ერთი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას მაჟორიტარი აქციონერის იმ ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება მაჟორიტარი აქციონერის სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად. დანარჩენ აქციონერებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

კორპორაციული მართვა

ბანკის ხელმძღვანელი ორგანოებია: ბანკის აქციონერთა საერთო კრება („საერთო კრება“), სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო.

სამეთვალყურეო საბჭო

სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან:

სახელი, გვარი	თანამდებობა
ჰუსეინ აიბინი	სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე
მეჰმეთ თურგუთ	სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის მოადგილე
რეჯეფ თურქ	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

- სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ზედამხედველობას ბანკის საქმიანობაზე. იგი შედგება სულ მცირე სამი და არაუმეტეს ოცდაერთი წევრისაგან, ამასთან, წევრთა რაოდენობა ყოველთვის კენტი უნდა იყოს.
- სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს აქციონერთა საერთო კრება ირჩევს ოთხი წლის ვადით, მაგრამ უფლებამოსილება შეიძლება გაგრძელდეს ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია ან ისინი შეიძლება გათავისუფლდნენ ნებისმიერ დროს მათი უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე.
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას აქციონერთა საერთო კრებას უნდა წარედგინოს შემდეგი ინფორმაცია:
 - იმ აქციონერთა ვინაობა, ვინც წამოაყენა მოცემული კანდიდატურა;
 - კანდიდატის ბიოგრაფიული მონაცემები;
 - კანდიდატის ურთიერთობა ბანკსა და მის მსხვილ კლიენტებთან;
 - ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს კანდიდატის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებაზე.
- სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. საარჩევნო ვადის გასვლამდე სამეთვალყურეო საბჭოდან წევრის გასვლის ან საერთო კრების მიერ მისი გათავისუფლების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს დამატებითი არჩევნები, წევრის გასვლიდან/გათავისუფლებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა. ახალი წევრის უფლებამოსილება ძალაშია გასული წევრის საარჩევნო ვადის გასვლამდე. სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის არჩევამდე, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქვორუმი გაანგარიშებული უნდა იქნას დარჩენილი წევრების რაოდენობის შესაბამისად.
- სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.
- საბჭოს სხდომებს იწვევს და დღის წესრიგს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სხდომა შეიძლება მოწვეული იქნას ასევე საბჭოს წევრის, დირექტორის და საწესდებო კაპიტალში 5 %-ის მფობელი აქციონერის მოთხოვნით. როგორც წესი მოწვევა კეთდება წერილობით, სულ ცოტა, რვა დღით ადრე და სავარაუდო დღის წესრიგითურთ და შეიძლება ჩატარდეს საქართველოში ან საზღვარგარეთ როგორც ეს ადრე იყო გათვალისწინებული შესაბამისი დღის წესრიგით.

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც.
- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება ქართულ და/ან თურქულ და/ან ინგლისურ ენებზე. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანი, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ საბჭო არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მის მოადგილეს), შეუძლია, სულ მცირე, რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილება უნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე იწვევს საერთო კრებას.
- სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესახებ დგება ოქმი ქართულ და/ან თურქულ და/ან ინგლისურ ენებზე და ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

- გაუწიოს კონტროლი დირექტორების საქმიანობას;
- ნებისმიერ დროს მოითხოვოს დირექტორებისაგან ბანკის საქმიანობის ანგარიში;
- გააკონტროლოს და შეამოწმოს ბანკის ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, ბანკის ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა და მას ეს შეუძლია დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
- მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება, თუ ამას ბანკის აუცილებლობა მოითხოვს;
- შეამოწმოს წლიური ანგარიშები. მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ და ამის შესახებ მოახსენოს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის თუ რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვიეს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;
- დანიშნოს და ნებისმიერ დროს გამოიწვიოს დირექტორები, ასევე დადოს და შეწყვიტოს მათთან ხელშეკრულებები; დანიშნოს და ნებისმიერ დროს გამოიწვიოს აუდიტის კომიტეტის წევრები.
- დაამტკიცოს ბანკის სტრუქტურა და დებულებები წინამდებარე წესდებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- წარმოადგინოს ბანკი დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა.
- სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი შეეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი.

საქმიანობა, რომელიც მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს:

- საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება და გრძელვადიანი ვალდებულებების აღება;

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

- საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს არ შეეხება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას;
- სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზრუნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიმართ დაუშვებელია;
- ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- ხელმძღვანელ პირებისათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის გაცემის უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ, თუ ამგვარი დაშვება საზოგადოებას აკისრებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს;
- საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა;
- ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება;
- ✓ სამეთვალყურეო საბჭო იღებს ასევე გადაწყვეტილებებს კანონმდებლობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- ✓ საბჭოს წევრებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. კერძოდ ისინი ვალდებული არიან იზრუნონ ბანკზე და მის სტაბილურობაზე ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედონ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია ბანკისათვის.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან:

- რეგულარულად დაესწრონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში;
- მოითხოვონ დღის წესრიგში საკითხის შეტანა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევა, როდესაც ეს აუცილებლობას წარმოადგენს;
- არ გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათ მიიღეს თავიანთი სამსახურობრივი მოვალეობების შესრულებისას;
- დროულად მიაწოდონ აქციონერებს ზუსტი და სრული ინფორმაცია ბანკის საქმიანობისა და მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

- არ გამოიყენონ პირადი სარგებლის მისაღებად ბანკის ქონება და თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მოპოვებული ინფორმაცია;
- თავი შეიკავონ ისეთ გარიგებებში მონაწილეობისგან, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი ინტერესების წინააღმდეგობაში მოსვლა ბანკის ინტერესებთან (ინტერესთა შეუთავსებლობა);
- ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევისას განუცხადონ დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ამის შესახებ და თავი შეიკავონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის მიცემისაგან.
- კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან მის წევრებს აქციონერთა საერთო კრების თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამოუკიდებლობა და თითოეული დამოუკიდებელი წევრის დამოუკიდებლად მიჩნევის შესახებ არგუმენტები

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სრულად აკმაყოფილებენ ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმებს. დანართში “ადმინისტრატორები” წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააჩნიათ განათლების თანაბარი დონე, სამეთვალყურეო საბჭოში დაცულია ხმათა უმრავლესობის პრინციპი და არ არსებობს დომინანტი პირის რისკი.

სამეთვალყურეო საბჭო, მასზე მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, აქტიურად არის ჩართული ბანკის ფუნქციონირებაში. წლის განმავლობაში ტარდება 4 რიგითი სხდომა, ასევე ბანკის საჭიროების მიხედვით რიგგარეშე სხდომები. 2019 წელს ჩატარდა 13 სხდომა. 2019 წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდომებზე განხილულ იქნა ბანკისთვის აქტუალური საკითხები, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შედის.

დირექტორთა საბჭო

სახელი, გვარი	თანამდებობა
მეჰმეთ უჩარ	გენერალური დირექტორი
ჰალუქ ჯენგიზ	გენერალური დირექტორი მოადგილე
მერთ ქოზაჯიოღლუ	დირექტორი

- ბანკის ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალება დირექტორთა საბჭოს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის მართვაზე, მისი საქმიანობის ბანკის მიზნების შესაბამისად წარმართვაზე.
- დირექტორთა საბჭო შედგება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ოთხ წლამდე ვადით დანიშნული არანაკლებ სამი დირექტორისაგან, რომელთა უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი დირექტორების დანიშვნამდე. დირექტორების დანიშვნა ხელმეორე ვადით შეუზღუდავია და ისინი შეიძლება გათავისუფლდნენ ნებისმიერ დროს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათი უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე.
- დირექტორატს ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი.

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

- დირექტორთა საბჭო ანგარიშვალდებულია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- დირექტორატის უფლებამოსილებაში შედის ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რაც კანონმდებლობითა და წესდებით არ განკუთვნილია აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას. დირექტორატი განიხილავს და იღებს წინასწარ გადაწყვეტილებას ყველა იმ საკითხზე, რომელზეც კანონმდებლობისა და წესდების თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობაა საჭირო.
- გენერალური დირექტორი (მისი არყოფნისას გენერალური დირექტორის მოადგილე) ერთპიროვნულად მართავს ბანკს, აკონტროლებს დირექტორთა საქმიანობას და წარმოადგენს ბანკს მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორთა საბჭოს წევრები (გენერალური დირექტორის მოადგილე და დირექტორები) ხელმძღვანელობენ თავიანთ დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს (დეპარტამენტებს). ისინი პასუხისმგებლები არიან მათ გამართულ ფუნქციონირებაზე და ბანკის სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებაზე.
- გენერალური დირექტორის მოადგილე და დირექტორები ხელმძღვანელობენ წესდებისა და შინაგანაწესის თანახმად მათ დაქვემდებარებაში შემავალ სამსახურებს და მათ საქმიანობას წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად, წარმოადგენს ბანკს ამ სფეროში მესამე პირებთან ურთიერთობაში.
- მესამე პირებთან ურთიერთობაში ბანკის წარმოდგენის უფლება აქვთ მხოლოდ იმ დირექტორებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ასეთებად სამეწარმეო რეესტრში, თუ ასეთი წევრები არ განახორციელებენ თავიანთი უფლებამოსილებების დელეგირებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დირექტორები კომპანიას წარმოადგენენ როგორც ერთობლივად, ასევე ცალ-ცალკე.
- დირექტორთა საბჭოს სხდომების მოწვევა, გადაწყვეტილებების მიღება და ბანკის ხელმძღვანელობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, ბანკის წესდების, შინაგანაწესის და სხვა შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად. დირექტორთა საბჭოს სხდომები შეიძლება ჩატარდეს საქართველოში ან საზღვარგარეთ, შესაბამისი დღის წესრიგით.
- დირექტორატის სხდომები ტარდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთი სხდომისა და წარიმართება ქართულ და/ან თურქულ და/ან ინგლისურ ენებზე. სხდომა მოიწვევა გენერალური დირექტორის, ასევე დირექტორატის რომელიმე წევრის ინიციატივით.
- გენერალური დირექტორი ადგენს სხდომის დღის წესრიგს, ამზადებს საჭირო მასალებს და თავმჯდომარეობს სხდომებს. დირექტორატის წევრებს უფლება აქვთ გენერალურ დირექტორთან დააყენონ წინადადება დღის წესრიგში საკითხის შეტანის თაობაზე.
- სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დირექტორატის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია გენერალური დირექტორის (მისი არყოფნისას – გენერალური დირექტორის მოადგილის) ხმა.
- დირექტორთა საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი ქართულ და/ან თურქულ და/ან ინგლისურ ენებზე, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.
- გენერალური დირექტორის მოადგილე და დირექტორები ანგარიშვალდებულები არიან გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

- გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე და/ან დირექტორები ვალდებული არიან სამეთვალყურეო საბჭოს აცნობონ ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ბანკის მდგომარეობაზე.
- გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე და/ან დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად. კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავენ ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირები და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის.

დირექტორები ვალდებული არიან:

- რეგულარულად დაესწრონ დირექტორატის სხდომებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში;
- მოითხოვონ დღის წესრიგში საკითხის შეტანა და დირექტორატის სხდომის მოწვევა, როდესაც ეს აუცილებლობას წარმოადგენს;
- არ გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათ მიიღეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას;
- არ გამოიყენონ პირადი სარგებლის მისაღებად ბანკის ქონება და თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მოპოვებული ინფორმაცია;
- თავი შეიკავონ ისეთ გარიგებებში მონაწილეობისგან, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი ინტერესების წინააღმდეგობაში მოსვლა საზოგადოების ინტერესებთან (ინტერესთა შეუთავსებლობა);
- ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევისას განუცხადონ დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ამის შესახებ და თავი შეიკავონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის მიცემისაგან;
- დაუყოვნებლივ მიაწოდონ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია;
- შეასრულონ კანონმდებლობით, ბანკის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით, სამომსახურებო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები და ბანკის აქციონერთა საერთო კრების, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები.

დირექტორთა საბჭოს წევრების შერჩევა ხდება საქართველოს კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების თანახმად განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. ამჟამინდელი დირექტორატის საბჭოს ყველა წევრი სრულიად აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმებს.

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

დირექტორთა საბჭოს შედგება:

- გენერალური დირექტორი
- გენერალური დირექტორის მოადგილე, რომელიც პასუხისმეგებელია ხაზინისა და საოპერაციო განყოფილების ფუნქციონირებაზე
- დირექტორი, რომელიც პასუხისმეგებელია მარკეტინგისა და საკრედიტო განყოფილების ფუნქციონირებაზე

კომიტეტები

საკრედიტო კომიტეტი

საკრედიტო კომიტეტის უფლებამოსილება (კომპეტენცია და ამოცანები)

- საკრედიტო კომიტეტი ასრულებს იმ ფუნქციებს, რომელიც განისაზღვრება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.
- საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და გასცეს სესხი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მასზე გადაცემული უფლებამოსილების ფარგლებში
- საკრედიტო კომიტეტი ვალდებულია შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელსაც მას გადასცემს სამეთვალყურეო საბჭო სესხებთან დაკავშირებით.

საკრედიტო კომიტეტის წევრები და კომიტეტის სხდომის ჩატარების წესი

- კომიტეტი უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი წევრისგან. კომიტეტის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა, საბჭოს წევრების არჩევა ან გადაყენება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო კომიტეტის ერთ-ერთ წევრს ნებისმიერი მიზეზით შეუწყდება შრომითი ხელშეკრულება ბანკთან, ეს წევრი ავტომატურად გადაყენებულ იქნება კომიტეტის წევრობიდან.
- საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ერთხმად. საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილების ერთხმად მიუღებლობის შემთხვევაში, განაცხადს აფასებს ზემდგომი ორგანო. კომიტეტის სხდომებს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.
- სხდომებზე მოწვეულ უნდა იქნან ბანკის სტრუქტურული ერთეულების მენეჯერები. გადაწყვეტილებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად მიიღება სხდომის ოქმის სახით.
- საკრედიტო კომიტეტის სხდომების სამდივნო პროცედურებს უზრუნველყოფს დირექტორატის სამდივნო.

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი

- კომიტეტი წარმოადგენს მუდმივ კოლეგიალურ ორგანოს და სრულად ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- კომიტეტის მანდატი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის, 2018 წლის 26 სექტემბრის 215/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნების მიხედვით;

აუდიტის კომიტეტის წევრები და კომიტეტის სხდომის ჩატარების წესი

- კომიტეტი დაკომპლექტებულია არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომელთა უმრავლესობას წარმოადგენენ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები;
- კომიტეტის თავმჯდომარე არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და იმავდროულად არ არის სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.
- აუდიტის კომიტეტის სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ. აუდიტის კომიტეტის სხდომას ესწრება მინიმუმ ორი წევრი. აუდიტის კომიტეტზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ხოლო ორი წევრის დასწრების შემთხვევაში ერთხმად.
- კომიტეტის რიგგარეშე სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს სამეთვალყურეო საბჭოს ან აუდიტის კომიტეტის ნებისმიერი წევრის ან დირექტორთა საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე.

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი გარდა სხვა ფუნქციებისა:

- მონიტორინგს უწევს და აქტიურად თანამშრომლობს ბანკის შიდა აუდიტის განყოფილებასთან, განსაზღვრავს შიდა აუდიტის ჩატარების ფორმებს და მეთოდებს;
- უზრუნველყოფს შიდა აუდიტის განყოფილების ფუნქციების ადეკვატურობას და დამოუკიდებულობას;
- განიხილავს და ამტკიცებს ჩასატარებელ შიდა აუდიტის მასშტაბებს და ჩატარების სიხშირეს;
- ამტკიცებს და პერიოდულად განიხილავს შიდა აუდიტის განყოფილების დებულებას და თანამშრომლების სამუშაო აღწერილობას;
- აუდიტის კომიტეტი ასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკის დებულების მიხედვით;
- განიხილავს და ამტკიცებს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ კვარტალურ მოხსენებებს, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

რისკების მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომიტეტი

რისკების მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომიტეტის უფლებამოსილებანი (ამოცანები და კომპეტენცია)

- კომიტეტი ასრულებს იმ ფუნქციებს, რომელიც განისაზღვრება კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის კორპორატიული მართვის სტანდარტების და სხვა კანონქვემდებარე აქტების მიხედვით.
- კომიტეტი, ბანკის საქმიანობისას წარმოქმნილ რისკების მართვასთან დაკავშირებით პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- კომიტეტი განსაზღვრავს ბანკის რისკების მართვის პოლიტიკას და აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში ამზადებს გეგმებს.
- უზრუნველყოფს შესაბამისი ზომების მიღებას იმ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე და რისკის პროფილზე.
- უზრუნველყოფს ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაბამისობას სტრატეგიის სამუშაო სტრატეგიასთან.

რისკების მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომიტეტის წევრები და სხდომის ჩატარების წესი

- კომიტეტი შედგება მინიმუმ 5 დამოუკიდებელი წევრისგან. წევრების რაოდენობას განსაზღვრავს და წევრებს ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.
- კომიტეტის სხდომები ტარდება კომიტეტის წევრთა უმრავლესობის დასწრებით მინიმუმ ოთხ თვეში ერთხელ. კომიტეტის საგანგებო სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტის და დირექტორთა საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე. სხდომას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გენერალური დირექტორის ხმა გადამწყვეტია.
- კომიტეტის სხდომების სამდივნო პროცედურებს უზრუნველყოფს კორპორატიული მდივანი

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი რისკების მართვის კომიტეტი

- კომიტეტი წარმოადგენს მუდმივ კოლეგიალურ ორგანოს და სრულად ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- კომიტეტის მანდატი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის, 2018 წლის 26 სექტემბრის 215/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნების მიხედვით
- კომიტეტი დაკომპლექტებულია არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომელთა უმრავლესობას წარმოადგენენ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები
- კომიტეტის თავმჯდომარე არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და იმავდროულად არ არის სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე
- სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი რისკების კომიტეტი გარდა სხვა ფუნქციებისა:

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

- განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აანალიზებს მათ შესაძლო გავლენას ბანკის რისკ მიმართ ტოლერანტობაზე
- მონიტორინგს ახორციელებს ხელმძღვანელობის მიერ ბანკის რისკის მიმართ ტოლერანტულობის პოლიტიკით დადგენილი მიდგომებისა და ლიმიტების შესრულებაზე
- თანამშრომლობს და ზედამხედველობას უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის რისკების მართვის სისტემის ეფექტურობა და პროპორციულობა ბანკის რისკების ბუნებასთან, მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან
- აფასებს ბანკის ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე რისკებს და სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს აღნიშნული რისკების მიტიგაციის უზრუნველსაყოფად
- უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას და კოორდინაციას აუდიტის კომიტეტთან, რაც მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის მნიშვნელოვანი რისკის იდენტიფიცირებას, ბანკის რისკების მართვის ჩარჩოში მიზანშეწონილი კორექტირებების განხილვის მიზნით.

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტის უფლებამოსილებანი

- ამზადებს ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის პოლიტიკას არსებული კანონქვემდებარე აქტებისა და ბანკის ფინანსური მიზნების გათვალისწინებით.
- ბანკის პოლიტიკისა და მიზნების ჭრილში, განაგებს ლიკვიდობისა და საბაზრო რისკებს და მართავს ფულად სახსრებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას რისკების მინიმუმამდე დაყვანა და მაქსიმალური მოგების მიღება.
- თვალყურს ადევნებს ეკონომიკურ სფეროში განვითარებულ მოვლენებს, მოქმედ სავალუტო ფინანსურ პოლიტიკას, უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებულ კანონქვემდებარე აქტებს და საბანკო სექტორში და ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს. აფასებს თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს განვითარებულმა მოვლენებმა საბანკო სექტორზე და უშუალოდ ბანკზე, თვალყურს ადევნებს ბანკის რეიტინგს.
- განვითარებული მოვლენების ფონზე ბიუჯეტის გადახედვის აუცილებლობის შემთხვევაში, თავიდან განსაზღვრავს ბანკის მიზნებს, სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციებს განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების ფარგლებში.
- უზრუნველყოფს ლიკვიდობასთან და სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობითა და ბანკის შიდა დებულებებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას.

11. სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

აქტივებისა და პასივების კომიტეტის წევრები და სხდომების ჩატარების წესი

- კომიტეტი შედგება მინიმუმ სამი დამოუკიდებელი წევრისგან. წევრების რაოდენობას განსაზღვრავს და წევრებს ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო. წევრები შეირჩევა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოს წევრებსა და განყოფილებების ხელმძღვანელ პირებს შორის.
- იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, საკმარისი ქვორუმი იქნება კომიტეტის სრული შემადგენლობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი შედგება სამ წევრზე მეტი წევრისგან, კომიტეტის წევრთა რაოდენობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. სხდომას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გენერალური დირექტორის ხმა გადამწყვეტია.
- კომიტეტის სხდომა ტარდება მინიმუმ თვეში ერთხელ. სხდომა შესაძლებელია მოწვეულ იქნეს კომიტეტის ერთ-ერთი წევრის, სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტთა საბჭოსა და აქციონერთა საბჭოს ინიციატივით. სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნას ბანკის სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელები. გადაწყვეტილებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად მიიღება სხდომის ოქმის სახით.
- აქტივებისა და პასივების კომიტეტის სხდომების სამდივნო პროცედურებს უზრუნველყოფს ბიუჯეტის, ანგარიშგებისა და ფონდის მართვის განყოფილება.

შიდა აუდიტის სამსახური

შიდა აუდიტის სამსახური წარმოადგენს ბანკის სტრუქტურულ ერთეულს, იგი ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ აუდიტის კომიტეტს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია უზრუნველყოს სამსახურის ობიექტურობა და მისი დამოუკიდებლობა დირექტორატისგან.

შიდა აუდიტის სამსახურის სფერო და მასშტაბები მოიცავს ბანკის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და პროცესს, IT სამსახურის გარდა და ეფუძნება რისკის დონის დადგენას, მოქმედ კანონმდებლობას, ნორმებსა და სტანდარტებს. აუდიტორული შემოწმება ითვალისწინებს ბანკის შესამოწმებელ სტრუქტურულ ერთეულში თითოეული ობიექტისა და საკითხის კონკრეტიზაციას, რომელთა ანალიზი შემდგომში ასახულ უნდა იქნას დასკვნაში.

12. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკების სტრატეგია

სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ რისკის სტრატეგია გამომდინარეობს ბანკის ბიზნეს სტრატეგიიდან, რომელიც შესაბამისობაშია რისკის მიმართ ტოლერანტულობასთან და განსაზღვრავს ბანკის ზრდის ტემპს, სასურველ ფინანსურ შედეგებს, დაკრედიტების სფეროების პრიორიტეტულობას, ბანკის შიდა სტრუქტურასა და დიზაინს. ბანკის ბიზნეს სტრატეგია გამყარებულია შესაბამისი შიდა პოლიტიკებითა და პროცედურებით.

ბანკი აღნიშნული პერიოდისათვის გეგმავს სტაბილურ და სწრაფ ზრდას, რომელიც ძირითადად გამოხატული იქნება საკრედიტო პორტფელის ზრდით. ბანკი აცნობიერებს სწრაფ ზრდის ტემპთან დაკავშირებულ რისკებს და ახდენს მათ აღმოფხვრას, როგორც ჭარბი საზედამხედველო კაპიტალით ასევე პოლიტიკებით, პროცედურებითა და ლიმიტებით.

რისკის სტრატეგია გაცნობიერებულია ბანკის ყველა სტრუქტურული ერთეულების დონეზე და ბიზნეს სტრატეგიის გარდა გამოხატულია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკაში. მნიშვნელოვანია, რომ ბანკის რისკის სტრატეგიის განხორციელების აღსრულება ხდება ბანკის დირექტორატისა და შესაბამისი რისკზე პასუხისმგებელი ორგანოების მიმართ, ამ პროცესს კი ზედამხედველობას უწევს სათაო ოფისი.

რისკის მართვის ჩარჩო

ბანკში მოქმედებს რისკების მართვის 3 დონიანი დაცვის მოდელი. მოდელი გამოიყენება ვალდებულებების და პასუხისმგებლობების გასამიჯნად, რათა მიღწეული იყოს მთლიანი რისკების ეფექტური მართვა, რომელიც ხელს შეუწყობს ბანკის შიდა კონტროლის ჩარჩოს გაძლიერებას. ყველა დონეზე შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანო იღებს მონაწილეობას.

რისკის მართვა დანერგულია ბანკის ყველა დონეზე, პასუხისმგებლობები ამა თუ იმ რისკისათვის გაცნობიერებულია და მისი მართვა ხდება მმართველობის ყველა რგოლში.

რისკის მართვის დონეები მოცემულია #1 ცხრილში:



პირველი დონე - არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების დონე:

12. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

- დაკრედიტების ფუნქციონალური ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს დადგენილი საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში საკრედიტო საქმიანობის წარმოებას;
- სახაზინო ოპერაციების მართვის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სახაზინო ოპერაციების წარმოებას რომლებიც დაკავშირებულია საბაზრო რისკების, მათ შორის ლიკვიდობის, სავალუტო და საპროცენტო რისკებთან;
- საკრედიტო კომიტეტი ძირითადად პასუხისმგებელია კლიენტების ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის შეფასებაზე, სასესხო გადაწყვეტილებების მიღებასა და სესხების ამოღების პრაქტიკის მიმოხილვაზე. აღსანიშნავია, რომ საკრედიტო დეპარტამენტი წარმოადგეს პირველ და მეორე დონეს ერთდროულად, ვინაიდან იგი დაკომპლექტებულია როგორც ბიზნესის ხაზის წარმომადგენლებით (პირველი დონე), ასევე რისკების და სესხის თანხის ზომიდან გამომდინარე სხვა სტრუქტურების წარმომადგენლებით (მეორე დონე);

მეორე დონე - არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების დონე:

- რისკების მართვის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია შემაჯამებელ რისკებზე და კურირებს როგორც ფინანსურ ასევე არაფინანსურ რისკებს, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულში სხვა რისკებთან ერთად იმართება საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკები, ხდება მათი მართვა, შეფასება და ბანკის ბიზნეს სტრატეგიასთან შესაბამისობის გაანალიზება;
- ფინანსური მართვის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც ახდენს ფინანსური ოპერაციების დაგეგმვას, ბანკის ლიკვიდობის მართვას და აქტიურად მონაწილეობს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტში;
- შესაბამისობის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც ახდენს AML/CFT და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

მესამე დონე: უზრუნველყოფს ბანკის მასშტაბური რისკების მართვას და რისკის სტრატეგიის განსაზღვრას. მესამე დონე არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების დონე: - შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც ახდენს რისკი მართვის პროცესის ადეკვატურობისა და ეფექტურობის შეფასებას და პერიოდულ მოხსენებას აკეთებს ბანკის მმართველობის ზედა რგოლებთან.

- აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, რომელიც ახორციელებს რისკის მართვას ორგანიზაციის დონეზე, ახდენს ფინანსური რისკების გაანალიზებას, მონაწილეობს ლიმიტების დამტკიცებაში და ბანკის საბალანსო პოზიციების განხილვას ფინანსური წყაროების მოძიების მიზნებისათვის, ასევე ბანკის საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკის მონიტორინგს
- რისკების მართვის კომიტეტი: ახდენს ბანკის წინაშე არსებული რისკების მონიტორინგს, უზრუნველყოფს რისკის მიმართ ტოლერანტობის დონისა და მათი მართვის შესაბამისობას ბანკის სტრატეგიასთან, აფასებს შიდა კონტროლისა და რისკების მართვის ეფექტურობის შეფასებას.
- დირექტორატი: უზრუნველყოფს მოვალეობების ადეკვატურ გადანაწილებას, ბანკის მიერ აღებული რისკების ერთობლიობის შესაბამისობას სათაო ბანკის მიერ განსაზღვრულ სტრატეგიასთან და უძღვება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას.
- სათაო ბანკი: განსაზღვრავს ბანკის რისკისა და ბიზნეს სტრატეგიებს, ამტკიცებს რისკების კონტროლის სქემას და მიმოხილავს ბანკის მუშაობას რისკებისა და ფინანსური შედეგების კუთხით.

12. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

რისკის მართვის პროცესი

ბანკი ხელმძღვანელობს სათაო ბანკის მიერ განსაზღვრული რისკის დონის ფარგლებში. სტრატეგიულ დონეზე განსაზღვრული რისკის დონისა და სტრატეგიული ბიზნეს გეგმის შესაბამისად, ბანკს განსაზღვრული აქვს შიდა პროცესები, რომლის მიხედვითაც ხდება რისკების მართვა, ვინაიდან ეს წამოადგენს ბანკის საქმიანობის ფუნდამენტურ ნაწილს და განუყოფელია პროცესების დაგეგმვისაგან. შესაბამისად რისკის მართვა ინტეგრირებულია ბანკის საქმიანობის ყველა დონეზე. ბანკისათვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკებისა და შემოსავლიანობის ოპტიმალური ერთობლიობის დაგეგმვა, ფინანსური სიძლიერის გარანტირება და ბიზნესის ზრდის მდგრადი ზრდის მხარდაჭერა. რისკის მართვის პროცესი იყოფა ხუთ ძირითად ეტაპად:

- **იდენტიფიცირება:** რისკების განსაზღვრა ბანკის სტრატეგიიდან გამომდინარე, მათ მიმართ ტოლერანტობის დადგენა და რისკის მფლობელის განსაზღვრა;
- **შეფასება:** პროცესის, ანგარიშგებისა და შეფასების სტანდარტების მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- **კონტროლი:** ოპერაციებისა და რისკების ლიმიტების დაცვის მონიტორინგი, ზარალის კონტროლი და მისი ადრეულ ეტაპზე შეტყობინება;
- **ანგარიშგება:** რისკის გაწევის შედეგების, სენსიტიურობისა და ძირითადი რისკების ინდიკატორების ინტერპრეტირება და ანგარიშგება;
- **მართვა:** ბანკის რისკების ყველა მიმართულების მიმოხილვა და კონტროლი, რისკის დონისა და შემოსავლიანობის ოპტიმალური ბალანსის პოვნა, რისკის მართვის პრაქტიკის კონტროლი, ბიზნეს გარემოსთან და სტრატეგიულ გეგმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

რისკის მიმართ ტოლერანტობა

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ ბიზნეს სტრატეგია, რომელიც განისაზღვრება სათაო ბანკის მიერ, არის მისი რისკის სტრატეგიისა და რისკის მიმართ ტოლერანტობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი. რისკის მიმართ ტოლერანტობის განსაზღვრა ხდება სათაო ბანკის მიერ ბანკის რისკის მართვის ჩარჩოსა და საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

რისკის მიმართ ტოლერანტობა არის გზამკვლევი ბანკის ყველა დონის მენეჯერისათვის იმისათვის რათა იმოქმედონ რისკის სტრატეგიის შესაბამისად. რისკის მიმართ ტოლერანტობა გამოხატულია როგორც რაოდენობრივი ასევე ხარისხობრივი ლიმიტებით, რაც საშუალებას იძლევა, გადაწყვეტილების მიღებისას მმართველობის ყოველმა რგოლმა, წინასწარ გაანალიზოს და შეაფასოს საკუთარი საქმიანობა და ის, თუ რამდენად შესაბამისობაშია კონკრეტული გადაწყვეტილება ბანკის რისკის ალბის სურვილთან.

რისკის მიმართ ტოლერანტობა დაინტერესებულ მხარეებს ეხმარება, ბანკისათვის მიუღებლად მაღალი რისკის, თავიდან არიდებაში და მაღალი რისკის იდენტიფიცირებაში მისი გაჩენის საწყის ეტაპზე, რაც უზრუნველყოფს ბანკის მიერ მოუღონელი რისკის თავიდან აცილებასა და არსებული რისკის დროულად მართვას.

13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები

ბანკი თავისი საქმიანობის ფარგლებში სხვადასხვა რისკის წინაშე დგას, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მითითებულია ქვემოთ. რეგულაციები მოიცავს საკრედიტო რისკს, საბაზრო რისკს, საოპერაციო რისკს, ლიკვიდობის რისკს, ბიზნეს სტრატეგიის რისკს, შესაბამისობის რისკს, მარეგულირებლის რისკსა და ჯგუფის რისკს.

- **საკრედიტო რისკი**

კონცენტრაციის რისკი

ქვეყნის რისკი

სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი (CICR)

- **საბაზრო რისკი**

საპროცენტო რისკი

სავალუტო რისკი

- საოპერაციო რისკი
- ლიკვიდობის რისკი
- ბიზნეს სტრატეგიის რისკი
- შესაბამისობის რისკი
- მარეგულირებლის რისკი
- ჯგუფის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ყველაზე მატერიალური რისკია ბანკისთვის, რაც გამოიხატება კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით მიღებულ ზარალში. საკრედიტო რისკი ბანკს შესაძლოა წარმოეშვას კრედიტების გაცემით, სახაზინო საინვესტიციო საქმიანობის შედეგად და სხვა. ბანკს აქვს საკმარისი კაპიტალი, რათა გადაფაროს ამ რისკისაგან გამოწვეული შესაძლო ზარალები და ამასთან, არ დააზიანოს საკუთარი ოპერაციები და იმიჯი.

ამჟამად ბანკისთვის საკრედიტო რისკის გამომწვევი ძირითადი წყაროებია:

- საბალანსო სასესხო პორტფელი
- გარესბალანსო ელემენტები - გარანტიები

ბოლო პერიოდში სწრაფი ზრდის მიუხედავად, ბანკი ინარჩუნებს კონსერვატიულ მიდგომებს კრედიტების გაცემის დროს, რაც გამოიხატება:

1. საკრედიტო კომიტეტის მუშაობით, რომელიც ინდივიდუალურად აფასებს მსესხებლის გადახდისუნარიანობას და ამტკიცებს სესხებს და გარანტიებს სადაც აუცილებელი წესით მოითხოვება წევრთა სრული უმრავლესობის თანხმობა.

13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები (გაგრძელება)

2. კონსერვატული შიდა საკრედიტო პროდუქტების სტანდარტებით
3. მაღალი რისკის მქონე სექტორების და პროდუქტების დაფინანსების შეზღუდვით
4. მაღალი ხარისხის მიტიგაციის ელემენტების გამოყენებით როგორებიცაა, უძრავი ქონება და მაღალის რეპუტაციის მქონე ფინანსური ინსტიტუტების გარანტიები

ბანკის საკრედიტო პორტფელი ხასიათდება მაღალი უზრუნველყოფის ხარისხით სადაც უძრავი ქონების წილი დომინანტურია; სესხის უზრუნველყოფა სათანადო წესით დარეგისტრირებული და შეფასებულია ეროვნული ბანკის სტანდარტების დაცვით.

საკრედიტო პორტფელის მაღალი პროცენტული ზრდის პირობებშიც სრულად არაუზრუნველყოფილი სესხების წილი მცირე რჩება:

გირაოს თანხის ოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. გირაოს ეფექტი განისაზღვრება გირაოს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრით საანგარიშგებო თარიღისთვის მთლიანი სესხებისა და ავანსებთან შედარებით.

საკრედიტო რისკების შეფასების კუთხით, ბანკში დანერგილია ფინანსური აქტივების ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელი შესაბამისი პოლიტიკით და მეთოდოლოგიით. ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო რისკების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საპროგნოზო ინფორმაციის ანალიზს. კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გათვალისწინებულია მაკროეკონომიკური და ფინანსური ფაქტორების ანალიზი, მოსალოდნელი ტენდენციები და რისკები.

ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების რეზერვის გამოთვლისას გამოიყენება მოსალოდნელი ზარალის მიდგომა, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საკრედიტო რისკის შეფასების პროცესს.

	31.12.2019	31.12.2018
მომხმარებელზე გაცემული მთლიანი		
სესხები ამორტიზებული ღირებულებით	50,133,758	34,894,581
გაუფასურების რეზერვი	(702,779)	(704,406)
მომხმარებელზე გაცემული სესხები	49,430,979	34,190,175
ამორტიზებული ღირებულებით		

სესხის შესაძლო დანაკარგის რეზერვის ფარდობის კოეფიციენტი	1.40%	2.02%
---	-------	-------

მოსალოდნელი დანაკარგის შეფარდება საკრედიტო პორტფელთან შემცირებულია და შეადგენს 1.40%-ს. საკრედიტო პორტფელის მაღალი ზრდის ტემპის მიუხედავად მოსალოდნელი დანაკარგის დონე რჩება დაბალი, რაც ბანკის დაკრედიტების კონსერვატიული მიდგომების შენარჩუნებით აიხსნება.

13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები (გაგრძელება)

ბანკი აქტიურად ოპერირებს ასევე საგარანტიო პროდუქტების კუთხით და გასცემს სხვადასხვა ტიპის გარანტიებს: შესრულების გარანტია, საავანსო გარანტია, საბაჟო გარანტია, სატენდერო გარანტია გარანტიებისგან წარმოშობილი საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის ბანკი იყენებს მაღალი ხარისხის უძრავი ქონების უზრუნველყოფას და მაღალი რეპუტაციის მქონე ფინანსური ინსტიტუტების კონტრა გარანტიებს.

სახაზინო და საწვებსტიციო საქმიანობიდან წარმოშობილი საკრედიტო რისკის ალბათობა დაბალია, რადგან ბანკი არ არის აქტიური საინვესტიციო საქმიანობის კუთხით. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სახით წარმოდგენილია სეზ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები, ლიკვიდური აქტივების მართვის მიზნობრიობით.

კონცენტრაციის რისკი

ბანკისთვის საკრედიტო კონცენტრაციის რისკი საშუალოზე დაბალია. კონცენტრაციის რისკი გიულისხმობს რისკის პოზიციის მსხვილი კონცენტრაციების შექმნის საშიშროებას როდესაც ერთმა მოვლენამ (ერთი კონტრაგენტის ვალდებულების შეუსრულებლობა ან სირთულეები ერთ სექტორში) შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მოცულობის ზარალი.

კონცენტრაციის რისკის დათვლა ხდება ორი მიმართულებით, პირველი არის სახელობითი კონცენტრაცია HHI-ს (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი) დახმარებით, ხოლო მეორე არის სექტორული კონცენტრაცია, რომელიც ითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სექტორების დასახელებების მიხედვით.

	2019	2018
სახელობითი კონცენტრაცია	1.10%	3.99%
სექტორული კონცენტრაცია	4.12%	17.31%

ბანკის საკრედიტო პორტფელის როგორც სახელობითი ისე სექტორული კონცენტრაცია შემცირებულია რჩება საშუალოზე დაბალი მაჩვენებლის ფარგლებში. ბანკი ითვალისწინებს შესაფაზი ბუფერებს კაპიტალის ადექვატურობის მიზნებისთვის.

ბანკი ახორციელებს სტრეს ტესტს მინიმუმ წელიწადში ერთხელ ეროვნული ბანკის სტრეს ტესტების მეთოდური სახელმძღვანელოს მიხედვით და შიდა კაპიტალის ადექვატურობის შეფასების პოლიტიკის მიხედვით (ICAAP)

სტრეს ტესტი გულისხმობს სხვადასხვა შოკების ეფექტებისგან შესაძლო ზარალების შეფასებას და გავლენას ბანკის საზედამხებელო კაპიტალზე. შოკი გულისხმობს გლობალურად ეკონომიკური აქტივობის შენელებას, რეცესიას რეგიონის ქვეყნებში რის შედეგადაც:

- მცირდება მთლიანი შიდა პროდუქტი რაც აისახება კომპანიების ბრუნვებზე
- იზრდება საპროცენტო განაკვეთები
- სასაქონლო პროდუქტებზე (ოქრო და სხვა) ფასების შემცირება

13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები (გაგრძელება)

- ეროვნული ვალუტის გაუფასურება
- უძრავი ქონების ფასების შემცირება
- დასაქმებულთა როდენობის და შემოსავლების შემცირება

სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი (CICR)

საკრედიტო რისკის ზოგად დონეზე შესაძლოა დამატებითი წნეხი ქონდეს ისეთი კრედიტების არსებობას როდესაც მსესხებელ სრულად ან ნაწილობრივ არაჰეჯირებულია გაცვლითი კურსის მხრივ. როდესაც სესხი გაცემულია ერთ ვალუტაში ხოლო მსესხებლის შემოსავალი ფორმირებულია სხვა ვალუტაში, რამაც შესაძლოა მსესხებელს დამატებითი წნეხი შეუქმნას რაც სხვა შემთხვევაში არ შეექმნებოდა.

სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის იდენტიფიცირებასა და კლასიფიკაციას ბანკი ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული, სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ რისკის პოზიციების იდენტიფიცირებისა და კლასიფიცირების შესაბამისად. შესაბამისად ხდება ასეთი რისკის პოზიციების იდენტიფიცირება და მათი გავლენა კაპიტალზე.

ბანკი სესხის ანალიზის დროს ცდილობს არ გასცეს ისეთი კრედიტები რომლებიც დამატებით გაზრდიან საკრედიტო რისკის დონეს ამისათვის სთავაზობს მომხმარებლებს სესხებს როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ვალუტაში.

• საბაზრო რისკი

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი გამომდინარეობს საპროცენტო განაკვეთის მიერ მგრძნობიარე აქტივების და ვალდებულებების გადაფასების შედეგად მისაღებ შესაძლო ზარალიდან. საპროცენტო რისკის მონიტორინგის მიზნებისთვის ბანკის იყენებს აქტივების და ვალდებულებების გადაფასების გეპის ანალიზს, რის მიხედვითაც ბანკი არის აქტივების მხრივ მგრძნობიარე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ რაც გულისხმობს რომ ზარალი მოსალოდნელია საპროცენტო განაკვეთების შემცირების პირობებში. ბანკი რეგულარულად ატარებს საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობიარობის ანალიზს სტრეს ტესტის ფაგლებში როდესაც გაითვალისწინება მყისიერი შემცირება განაკვეთების 2%-ის ოდენობით.

ეროვნული ბანკის საპროცენტო რისკის მართვის მეთოდოლოგიის და სცენარების მიხედვით ბანკი რეგულარულად ამოწმებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად როგორც ეკონომიკური ღირებულების (EVE) ცვლილების ასევე წმინდა საპროცენტო შემოსავლის ცვლილების (NII) ეფექტს საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებაში სხვადასხვა სცენარების მიხედვით:

ყველაზე ცუდი შედეგი	კაპიტალის პროცენტი
EVE	0.5%
NII	1.9%

13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები (გაგრძელება)

მიღებული შედეგები დაბალი რისკის დონეს ასახავს კაპიტალთან მიმართებაში.

ასევე ბანკს არ გააჩნია სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და არ ეწევა სპეკულაციურ საქმიანობას, შესაბამისად საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე ეფექტი არ აქვს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გულისხმობს ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ბანკის აქტივების და ვალდებულებების გადაფასების შედეგად შესაძლო ზარალის მიღების ალბათობას.

სავალუტო რისკმა შეიძლება შეამციროს საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები, რადგან ბანკის კაპიტალი ადგილობრივ ვალუტაშია წარმოდგენილი, ხოლო მისი აქტივების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს კაპიტალის ადეკვატურობის მნიშვნელოვან გაუარესებას, რადგან უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი აქტივების ღირებულება მოიმატებს (ლარის გაუფასურების გამო) და, შესაბამისად, ბანკს ექნება უფრო მეტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, ხოლო ლარში დენომინირებული კაპიტალის მოცულობა უცვლელი დარჩება. ბანკის რეგულარულ სტრეს ტესტებში გაითვალისწინება მკვეთრი გაუფასურება ვალუტების და გამოთვლება დასტრესილი კოეფიციენტები.

ბანკი იკავებს შესაბამის კაპიტალის მოცულობას, რათა არ შეექმნას პრობლემა ამ რისკისაგან გამოწვეული შესაძლო ზარალების დაფარვისას, გარდა ამისა, ბანკი ყოველდღიურად აკონტროლებს კრეზითი ღია სავალუტო პოზიციის მაჩვენებელს და არ ეწევა სპეკულაციურ საქმიანობას ღია სავალუტო პოზიციის დაჭერის გზით.

2019წ. ბოლოს ბანკის კრეზითი სავალუტო პოზიციის შეფარდება საზრედამხედველო კაპიტალთან ეროვნული ბანკის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეადგენდა 0,29% (ლიმიტი -20% < 20%)

- **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რისკია, რომელსაც ზირაათ ბანკი საქართველო მიიჩნევს მატერიალურად. საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამოწვეულია გაუმართავი ან ჩავარდნილი შიდა პროცესებით, ადამიანური რესურსებით და სისტემებით, ან გარე ფაქტორებით. ეს განმარტება მოიცავს თაღლითობის რისკს, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებს, სამართლებრივ რისკს, რეპუტაციულ რისკსა და აუტოსორსინგის რისკს.

განსაკუთრებით ბანკის ზომის ზრდის და ოპერაციების სპექტრის გაფართოების პირობებში საოპერაციო რისკის მართვა კრიტიკული ხდება.

საოპერაციო რისკი შეიძლება იყოს როგორც ფულადი ისე არაფულადიც.

მისი იდენტიფიცირების, გაზომვისა და მართვის მეთოდოლოგია გაწერილია ბანკის რისკის მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში.

13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები (გაგრძელება)

საოპერაციო რისკის მართვის კუთხით ბანკი მიმართავს შემდეგ ზომებს:

- ინციდენტების აღრიცხვა და ანგარიშგება
- რისკისა და კონტროლის თვითშეფასებები
- რეგულარული საინფორმაციო სისტემების აუდიტი და შეღწევადობის ტესტირება
- აუტოსორსინგული ოპერაციების რისკების შეფასება
- ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და შესაბამისი სტრეს-ტესტირება

ზემოაღნიშნული პროცესების შედეგების ანალიზი სრულდება იმ მიზნით, რომ წარმოდგენა შეიქმნას ბანკში არსებული საოპერაციო რისკების პროფილის შესახებ ბანკის რისკის მიმდებლობასთან მიმართებაში. ანალიზის შედეგად ხორცილდება საოპერაციო რისკების მიტიგაცია ან მიღება (საჭიროების შემთხვევაში) რათა შემდგომში გათვალისწინებულ იქნას ბანკის ბიზნეს საქმიანობაში და სტრატეგიაში.

ბანკის საოპერაციო რისკის მხრივ ხდება რისკის პოზიციების კალკულაცია გამოთვლა საბაზისო ინდიკატორის მეთოდით რაც გადაითარგმნება დამატებით კაპიტალის ბუფერში. აღნიშნული მეთოდოლოგია აღწერილია „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ დებულებაში“

• ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს ბანკის ვალდებულებების სრულად ან დროულად შეუსრულებლობის გამო შესაძლო ზარალის წარმოქმნის რისკი. ასევე ლიკვიდობის რისკი განიხილება ბანკის მიერ არასაკმარისი დაფინანსების გამო დაკრედიტების შეფერხებაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს თავის მხრივ რეპუტაციული და საკრედიტო რისკები.

ლიკვიდობის რისკის დადგომის დროს ბანკი იძულებული იქნება დაჩქარებული ტემპებით მოიზიდოს სახსრები, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს მიღებული სახსრების მაღალ ხარჯიანობას. აღნიშნული უარყოფითად იმოქმედებს როგორც ბანკის მომგებიანობაზე, ასევე მის რეპუტაციასა და სანდოობის დონეზე.

ლიკვიდობის რისკის მიტიგაცია ხდება ბანკში არსებული პროცედურებით, პოლიტიკებით, ლიმიტებითა და ყოველდღიური მენეჯმენტით, რომელიც შესაბამისობაშია ბანკის რისკის მიმართ ტოლერანტობასთან, რისკის სტრატეგიასთან და ბიზნეს სტრატეგიასთან. ბანკი ლიკვიდობის რისკს მართავს ყოველდღიურად. მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკის მონიტორინგისთვის გამოიყენება ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის ანგარიშგება ყოველდღიურად ბაზელ 3-ის მოთხოვნებთან შესაბამისობით. ხოლო გრძელვადიანი ლიკვიდობის მონიტორინგის მიზნებისთვის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი.

სებ-ი ყველა ბანკს ავალდებულებს, რომ ყოველდღიურად შეინარჩუნონ 75.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი ლარში, 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი უცხოურ ვალუტაში და 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი მთლიანობაში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მთლიანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 213.2%-ს. იგივე კოეფიციენტი ლარში იყო 871.6%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 125.5%

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის ნორმატივი საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი 98,56% შეადგენს მაშინ როცა საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად ეს მაჩვენებელი არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები.

	31.12.2019	31.12.2018
ერთდღიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში	22,941,600	14,453,641
ფული სალაროში	4,067,865	3,514,316
საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ბანკებში	4,915,550	660,010
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში, გარდა სავალდებულო რეზერვისა	7,652,342	16,663,593
სულ	39,577,357	35,291,560

ლიკვიდური სახსრების განთავსება ხდება მხოლოდ მაღალ ლიკვიდურ ფინანსურ ინსტრუმენტებში როგორცაა ნაღდი ფული, განთავსებები ეროვნულ ბანკში და ადგილობრივ კომერციულ ბანკებში; ასევე ჭარბი ლიკვიდობისთვის ბანკი აქტიურად იყენებს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს სახაზინო ვალდებულებების სახით და არ არის ჩართული ფასიანი ქაღალდების სპეკულაციურ სავაჭრო ოპერაციებში.

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების და 90 დღემდე ვადიანი დეპოზიტების საკრედიტო რეიტინგი ასეთია:

	31.12.2019	31.12.2018
B+	10,522,577	15,042,521
BB-	17,334,572	71,130
სულ	27,857,150	15,113,651

რადგან ბანკის განვითარების მოცემულ ეტაპზე დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი კაპიტალი და ამავე დროს ბანკის ლიკვიდობის დონე ჭარბია და საკმარისი საშუალო ვადიან პერიოდში - ლიკვიდობის რისკი ფასდება როგორც დაბალი.

- ბიზნეს სტრატეგიის რისკი**

ზირაათ ბანკი საქართველო, ბიზნეს (სტრატეგიის) რისკად აღიქვამს რისკს, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალის ან შემოსავლების შემცირებასთან, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს არასწორი დაგეგმვით, მცდარი სტრატეგიით, ბიზნეს მოდელის გარემოსთან შეუსაბამობით და არასწორი ბიზნეს გადაწყვეტილებებით. ბანკი ახდენს აღნიშნული რისკისათვის, როგორც რაოდენობრივ ასევე ხარისხობრივ მონიტორინგს, ხდება კონტროლი იმისა თუ რამდენად ახლოს არის ფაქტიური მაჩვენებლების ცდომილება ბიუჯეტიდან, საიდანაც დგინდება რამდენად შეასრულა ბანკმა დაგეგმილი ფინანსური ამოცანები, გარდა ამისა ხარისხობრივად ბანკი აანალიზებს საკუთარ პოზიციებს და რამდენად შეესაბამება მისი საქმიანობა მის სტრატეგიასა და გეგმებს.

13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები (გაგრძელება)

- შესაბამისობის რისკი

შესაბამისობის რისკი განისაზღვრება, როგორც მარეგულირებელი ან სამართლებრივი სანქციების რისკი, მატერიალური ფინანსური დანაკარგი ან რეპუტაციის შელახვა, რაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ბანკის მიერ შესაბამისი კანონების, რეგულაციებისა და წესების, ეთიკისა და ქვეყნის კოდექსის უგულვებელყოფამ, ან არასათანადო შესრულებამ.

შესაბამისობის რისკში ყველაზე მატერიალურ და პრიორიტეტულ რისკად აღიქმება ეროვნული ბანკის რეგულაციებთან სრული შესაბამისობა რაც მოიცავს როგორც ხარისხობრივ მოთხოვნებს (პროცედურები, პოლიტიკები და ა.შ) და ასევე რაოდენობრივ ეკონომიკურ ნორმატივებს.

ბანკს ემსახურება რესპექტაბელური იურიდიული კომპანია რომელიც უწყევს სრულ მომსახურებას კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით რაც მოიცავს რეგულარულ რეკომენდაციებს. ასევე თითოეული სტრუქტურული ერთეულის დონეზე გაცნობიერებულია და ბანკს აქვს შესაბამისი შიდა პროცედურები და პოლიტიკები შესაბამისობის მოთხოვნების დასაცავად.

მეორეს მხრივ, ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტი ქმნის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დაკისრებული რეგულაციების შესრულების ოპერაციულ ბაზას, რითაც აფართოებს მარეგულირებლის მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობებს, დეპარტამენტის მთავარი ამოცანა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციაა.

- მარეგულირებლის რისკი

ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ. შესაბამისად, არსებობს მარეგულირებლის რისკი, რომ ეროვნულმა ბანკმა გაზარდოს არსებული მოთხოვნები, როგორც მთლიანი საბანკო სექტორისთვის, ისე კონკრეტული ინსტიტუტებისთვის. შესაბამისად, შესაძლოა, რომ ბანკის მომგებიანობა და შედეგები დაიტვირთოს მარეგულირებლის მაღალი მოთხოვნებით, მათ შორის, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის მხრივ.

ეროვნული ბანკი როგორც წესი წინასწარ ავრცელებს მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებს მოთხოვნებთან დაკავშირებით ამიტომ ბანკს აქვს როგორც წესი საშუალება მოერგოს ცვლილებებს შედეგად აღნიშნული რისკის აღბათობა დაბალია.

ზირაათ ბანკის მიერ ეროვნული ბანკის მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვა უმაღლესი პრიორიტეტის მატარებელია.

- ქვეყნის რისკი

ზირაათ ბანკი საქართველოს საკუთარი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს უკავშირებს თურქეთის მოქალაქეებს და თურქეთის სახელმწიფოს იურისდიქციაში დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და ისეთ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს რომელიც ბიზნეს საქმიანობას ეწევიან თურქეთის ტერიტორიაზე ან/და იურისდიქციაში. ბანკის ფორმატი თავისთავად შეიცავს ქვეყნის რისკს, ვინაიდან იგი არის თურქული ბანკის შვილობილი კომპანია საქართველოში. თურქეთში პოლიტიკური ვითარების დამაბეზამ, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ეკონომიკურ ვითარებაზე, საქართველოსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაუარესებამ, საბაჟო განაკვეთების ზრდამ ან კვოტების შემოღებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბანკის კლიენტების ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც შესაბამისად, ზეგავლენას მოახდენს ბანკის მომგებიანობაზეც.

13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები (გაგრძელება)

ვინაიდან აღნიშნული რისკის დადგომის ალბათობა ძალიან მცირეა, ხოლო მისი ზუსტი ან მიახლოებითი შედეგების გამოთვლა შეუძლებელია, ზირაათ ბანკი საქართველო ამ რისკისაგან გამოწვეული შესაძლო ზარალის გადასაფარად დამატებით დაიკავებს რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების 1%-ს შიდა კაპიტალის ადექვატურობის მიზნებისთვის.

- **ჯგუფის რისკი**

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ არის თურქეთის სს „ზირაათ ბანკის“ ჯგუფის და ფუნქციონირებს როგორც მისი შვილობილი კომპანია. ბანკის ფინანსურ სტაბილურობას, მისი კაპიტალის ოდენობას, გრძელვადიან და მოკლევადიან დაფინანსებას განსაზღვრავს სწორედ დედა ბანკი. მნიშვნელოვანია, რომ დედა ბანკის საკრედიტო რეიტინგი არის Foreign Currency Long-Term IDR B+/Negative-ის შეფასებით. სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ შესაძლოა დადგეს ფინანსური სირთულეების წინაშე იმ შემთხვევაში თუ სათაო ბანკს შეექმნება ფინანსური სირთულეები, თუმცა საშუალო ვადიან პერიოდში ბანკს აქვს საკმარისი საკუთარი კაპიტალი და დაფინანსება. გარდა აღნიშნულისა, თუ მხედველობაში მივიღებთ ბანკის ბიზნესის მოცულობას იგი იმდენად მცირეა სათაო ბანკთან შეადრებით, რომ ფინანსური სირთულეების შემთხვევაში დედა ბანკი ვერ გამოიყენებს ბანკის ფინანსურ კეთილდღეობას საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ზემოთ მოყვანილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ მფლობელობით რისკს აფასებს როგორც დაბალს.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

გენერალური დირექტორი

ომერ აიდინი

13. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები (გაგრძელება)


ვინაიდან აღნიშნული რისკის დადგომის ალბათობა ძალიან მცირეა, ხოლო მისი ზუსტი ან მიახლოებითი შედეგების გამოთვლა შეუძლებელია, ზირაათ ბანკი საქართველო ამ რისკისაგან გამოწვეული შესაძლო ზარალის გადასაფარად დამატებით დაიკავებს რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების 1%-ს შიდა კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის.

• ჯგუფის რისკი

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ არის თურქეთის სს „ზირაათ ბანკის“ ჯგუფის და ფუნქციონირებს როგორც მისი შვილობილი კომპანია. ბანკის ფინანსურ სტაბილურობას, მისი კაპიტალის ოდენობას, გრძელვადიან და მოკლევადიან დაფინანსებას განსაზღვრავს სწორედ დედა ბანკი. მნიშვნელოვანია, რომ დედა ბანკის საკრედიტო რეიტინგი არის Foreign Currency Long-Term IDRB+/Negative-ის შეფასებით. სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ შესაძლოა დადგეს ფინანსური სირთულეების წინაშე იმ შემთხვევაში თუ სათაო ბანკს შეექმნება ფინანსური სირთულეები, თუმცა საშუალო ვადიან პერიოდში ბანკს აქვს საკმარისი საკუთარი კაპიტალი და დაფინანსება. გარდა აღნიშნულისა, თუ მხედველობაში მივიღებთ ბანკის ბიზნესის მოცულობას იგი იმდენად მცირეა სათაო ბანკთან შეადრებით, რომ ფინანსური სირთულეების შემთხვევაში დედა ბანკი ვერ გამოიყენებს ბანკის ფინანსურ კეთილდღეობას საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ზემოთ მოყვანილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ მფლობელობით რისკს აფასებს როგორც დაბალს.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

გენერალური დირექტორი



ომერ აიდინი

